პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 აპრილი 25 ივლისი № 173 (16603) ფასი 2 კაპ. 1976

ზუთხლედის წარმატებული სტარტი

ასეთი სათაურით გუშინ ცენტრალურ გაზეთებში გამოქვეყნდა სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების 1976 წლის პირველი ნახევრის შედეგების შესახებ“. ცნობაში მოყვანილი ციფრები მოწმობს, რომ მეხუთე ხუთწლედის პირველი წლის ნახევარ წელიწადში კიდევ უფრო გაიზარდა ქვეყნის ეკონომიკა, კვლავ მაღლდებოდა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე.

ყველა ეს წარმატება შედეგია მშრომელთა მიერ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების განსახორციელებლად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებისა, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის.

ამ მრავლისმეტყველ ციფრებს ჩვენი გაზეთის მკითხველები შემდეგ ნომერში გაეცნობიან.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

24 ივლისს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმი მუშაობას განაგრძობდა. კამათში, რომელიც გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მოხსენების გამო — „თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება სკკპ XXV ყრილობის მიერ განსაზღვრული ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს კომპარტიის საქმიანობის საბრძოლო პროგრამაა“ — მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. ს. ფრანგიშვილი, ჯავის რაიონის კვაისის მაღაროთსამმართველოს ხარატი თ. ვ. თედეევი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ნ. ა. ჭითანავა, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი ი. გ. ხაზარაძე, ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა მერგოლური ვ. გ. მეუნარგია, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ვ. ა. სოგოლეევი, საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველი მდივანი გ. ბ. ნაჭყებია, „თბილისქალაქმშენის“ № 14 ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს ბრიგადირი თ. გ. გოლეთიანი, ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. მ. საარიანი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. ბ. კარანაძე, მწერალი რ. ა. ჯაფარიძე, საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი ა. ი. სკაჩკოვი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი რ. ვ. გორდეზიანი.

ამით დამთავრდა დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვა. საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

პლენუმი გადავიდა დღის წესრიგის მეორე საკითხზე — „სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პოლიტიკურ ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ“.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. კოლბინმა.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო დადგენილება და დაამტკიცა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პოლიტიკური ღონისძიებები სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებისათვის.

ამით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმმა მუშაობა დაამთავრა. (საქინფორმი).

განვამტკიცოთ წარმატებები, სრულყოთ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, მივაღწიოთ საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის ახალ აღმავლობას!

ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

ამხანაგებო!

მუშაობას იწყებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

ცნობილია, თუ რა ადგილი უკავიათ პლენუმებს ჩვენს პარტიულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მაგრამ, ვფიქრობ, საერთო აზრს გამოვთქვამ, თუ ვიტყვი, რომ ახლანდელი მორიგი პლენუმი ამავე დროს განსაკუთრებულია. იგი უჩვეულოა იმ, ამაღლებული განწყობილების გამოც, რომლითაც ჩვენ ყველანი მოვდიოდით დღეკანდელ სხდომაზე. ამ განწყობილების მიზეზი სწორედ ის მოვლენაა, რომელსაც პლენუმი ეძღვნება.

თქვენთვის ცნობილია ეს მოვლენა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის საბრძოლო პროგრამაა“ — მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. პაპუნიძე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ა. ს. ფრანგიშვილი, ჯავის რაიონის კვაისის მაღაროთსამმართველოს ხარატი თ. ვ. თედეევი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ნ. ა. ჭითანავა, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანი ი. გ. ხაზარაძე, ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა მერგოლური ვ. გ. მეუნარგია, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ვ. ა. სოგოლეევი, საქართველოს კომპარტიის წალენჯიხის რაიკომის პირველი მდივანი გ. ბ. ნაჭყებია, „თბილისქალაქმშენის“ № 14 ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს ბრიგადირი თ. გ. გოლეთიანი, ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. მ. საარიანი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. ბ. კარანაძე, მწერალი რ. ა. ჯაფარიძე, საქართველოს კომპარტიის წალკის რაიკომის პირველი მდივანი ა. ი. სკაჩკოვი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი რ. ვ. გორდეზიანი.

ამით დამთავრდა დღის წესრიგის პირველი საკითხის განხილვა. საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

პლენუმი გადავიდა დღის წესრიგის მეორე საკითხზე — „სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებლად საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პოლიტიკურ ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ“.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. კოლბინმა.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო დადგენილება და დაამტკიცა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პოლიტიკური ღონისძიებები სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განსახორციელებისათვის.

ამით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმმა მუშაობა დაამთავრა. (საქინფორმი).

გაუმჯობესებულ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ

ამხანაგებო!

ცენტრალური კომიტეტის მოხსენებაში ნათქვამია, ამ ღონისძიებათა ასამუშავებლად ჩვენ ყველას, ჩვენ ყველა ორგანიზაციას, ჩვენ ყველა ადგილობრივ ორგანოს, ჩვენ ყველა ეკონომიკურ, საბჭოთა, ეკონომიკურ, ეკონომიკურ, ეკონომიკურ

განვამტკიცოთ წარმატებები, სრულვყოთ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, მივაღწიოთ საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის ახალ აღმავლობას!

(გაგრძელება)

შტრიხი შეაქვს პარტიის ისეთი დიდმნიშვნელოვანი ფუნქციის განხორციელებაში, როგორიც არის შესრულების შემოწმება. ცნობილია, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი შესრულების შემოწმების სწორ ორგანიზაციას.

„ადამიანთა შემოწმება და საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმება, — ამბობდა ვლადიმერ ილიას-ძე.— ეს, კიდევ ეს, მხოლოდ ეს არის ამჟამად მთელი მუშაობის, მთელი პოლიტიკის ღერძი“.

უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენ მუდმივად მივმართავთ ლენინის უკვდავ მემკვიდრეობას, ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე პირდაპირ უნდა ვთქვათ: ყველა ჩვენს პლენუმსა და პარტიული აქტივის კრებაზე, ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში უცვლელად ვეთათბირებით ლენინს, მისი მითითებების, მისი ანდერძის ძიებიდან ვამოწმებთ ჩვენს საქმეებსა და გეგმებს. ასე იყო. როცა ჩვენ პრინციპოლად გამოგაცხადეთ მუშობაში არსებული სერიოზული შეცდომები და ნაკლოვანებები. ასე არის დღესაც, როცა ჩვენ დიდი ძალოვნებით აღვნიშნავთ მიღწეულსა და მოპოვებულს და კიდევ უფრო სერიოზულ ამოცანებს ვსახავთ მომავლისათვის.

თავისი დადგენილების შესრულების შემოწმებით პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ერთი მხრივ, პრაქტიკულად ახორციელებს დემოკრატიული ცენტრალიზმის მოთხოვნებს და, მეორე მხრივ, რესპუბლიკური პარტორგანიზაციის გამოცდილებას აზოგადებს, მთელი პარტიის კუთვნილებად ხდის მას, მხარს უჭერს პარტიის უმნიშვნელოვანესი ორგანოების — საოლქო, სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების ინიციატივასა და თვითმოქმედების რეალობისა, რომლებსაც, როგორც სკკპ XXV ყრილობაზე აღინიშნა, მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადგილებზე პარტიული პოლიტიკის განხორციელებისათვის.

აი-რადგან რა საქართველოს კომპარტიას მოქმედების ნათელი პროგრამით, სკკპ ცენტრალური კომიტეტი თავისი დადგენილებით თვითეული კომუნისტს ნაყოფიერი მუშობის ყველაზე ხელშემწყობ პირობებს, თავისუფალი შემოქმედებისა და შემართების შესაძლებლობას უქმნის ჩვენს ჩვენ ქვეყნის მატერიალური დოვლათის, მის სულიერ ღირებულებათა წარმოქმნის პროცესში უაღრესად აქტიური მონაწილეობის ინტერნაციონალურად **და ამით ჩვენი პარტიის დემოკრატიზმის ლენინური პრინციპები რეალურად ისახამს ხორცს.**

დემოკრატიზმისა და ცენტრალიზმის ყველაზე ჰუმანური პრინციპების შენახონობა, ჩვენი რესპუბლიკის ყველაზე საარსებო პრობლემებისადმი ყლობალურ-კომპლექსური მიდგომა, რაც შეხამებულია პარტიული, სამეურნეო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანების საქმის ეფექტურობით-ლენინს, მისი მითითებების, მისი ანდერძის ძიებიდან ვამოწმებთ ჩვენს საქმეებსა და გეგმებს. ასე იყო. როცა ჩვენ პრინციპოლად გამოგაცხადეთ მუშობაში არსებული სერიოზული შეცდომები და ნაკლოვანებები. ასე არის დღესაც, როცა ჩვენ დიდი ძალოვნებით აღვნიშნავთ მიღწეულსა და მოპოვებულს და კიდევ უფრო სერიოზულ ამოცანებს ვსახავთ მომავლისათვის.

ეროვნულ შემოსავალს აწარმოებდა, ვიდრე საშეალოდ საბჭოთა კავშირში, მრეწველობის საერთო პროდუქციას,— 32,4 პროცენტით, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციას — 40,4 პროცენტით ნაკლებს.

იმის შედეგად, რომ ყოველწლიურად იზრდებოდა უყაირათობა და მატიანმტად ხელშეშეებული იყო ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობა, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ფუნქციონირების ბევრი მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდა მეცხრე ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში, რაც იმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი იძულებული იყო მიეღო დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ.

გაიხსენეთ ჩვენი პლენუმები და პარტიული აქტივის კრებები 1972 წლის დამლეგს, 1973 წლის დამდეგს, როცა ჩვენ გულისტკივილით ვლაპარაკობდით, რომ ჩვენს რესპუბლიკას ბევრი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლით უკანასკნელი თუ ბრა, ყოველ შემთხვევაში ერთ-ერთი ყველაზე უკანასკნელი ადგილი უკავია ქვეყანაში არც ისე ადვილი, არც ისე მარტივი საქმე იყო გამოგვევლინა რესპუბლიკის ეკონომიკის ნეგატიური მოვლენები, მისი ჩამორჩენის მიზეზები და გვეთქვა მთელი სიმართლე პარტიული აქტივისა და მთელი ხალხისათვის. ამავე დროს იყვნენ ადამიანები, მათ შორის კომუნისტებიც, რომლებიც თვლიდნენ: ეს, რაც რესპუბლიკაში, კერძოდ ეკონომიკაშიც ხდება, ბოლომდე არ უნდა გამოაშკარაოთო, ეს, ძარს ეკითხისო რესპუბლიკის პრესტიჟს, ლაბალსო მის ავტორიტეტს.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მეოხებით მოხდა მკვეთრი შემობრუნება ეკონომიური პრობლემებისაკენ. ეკონომიკა რესპუბლიკური პარტორგანიზაციის მთავარი საზრუნავი, ჩვენი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და ყველაზე საინტერესო პოლიტიკა გახდა, როგორც ამას ლენინი მოითხოვდა.

ბევრი სამეურნეო საკითხის გადაწყვეტაში დიალექტიკა და ზერელობა ღრმა კომპეტენტურობამ, კონკრეტულობამ და საგნობრიობამ, ანალიზურმა მიდგომამ შეცვალა. შემოშვებულ იქნა კომპლექსური, მეენერგიული დასაბუთებული ღონისძიებები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, მთელი სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ბირეული გაუმჯობესებისათვის და მან სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საშუალება მისცა გამოეტანა დასკვნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, თბილისის საქალაქო კომიტეტმა, სხვა პარტიულმა კომიტეტებმა რესპუბლიკის საქმის ვითარება თვითკრიტიკულად გააანალიზეს.

დღეს ყველა საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ დასაბამი მისცა თვისებრივად ახალ ძვრებს ყველა სფეროში. ამიტომ ეკონომიკასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩვენ მკვეთრად გავმიჯნეთ ორი პერიოდი: სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამდე და მის შემდეგ.

მთავარი ბერკეტი, რომელის მეშეობითაც მკვეთრი შემობრუნება მოვახდინეთ რესპუბლიკის ეკონომიკაში, იმ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ ღონისძიებათა კომპლექსი იყო. რომლებიც მიზნად ისახავდა პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას, მასებთან აქტიურობისა და ინიციატივის ამაღლებას.

ყოველივე ამან ზნეშნელოვნად გაზარდა ჩვენი ხალხის შრომითი და პოლიტიკური აქტივობა, საშუალება მოვეცეს სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებში წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი დაგვეჩქარებინა.

თუ მეცხრე ხუთწლედის პირველ პერიოდში (1971-1972 წლები) სამეშაო დროის დანაკარგები მრეწველობაში 2,5 პროცენტით, ხოლო მშენებლობაში — 2,3-ჯერ იზრდებოდა, მეორე პერიოდში (1973-1975 წლები) დანაკარგები შემცირდა: მრეწველობაში — მეოთხედით, ხოლო მშენებლობაში — თითქმის 2,5-ჯერ. სამრეწველო წარმოების ზრდის საშუალო წლიური ტემპი ხუთწლედის პირველ პერიოდში 2,5 პროცენტს არ აღემატებოდა, რამაც რესპუბლიკას 256 მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლო, მეორე პერიოდში კი ტემპი 9,6 პროცენტამდე გაიზარდა და ვგეგმის გადაჭარბებით გამომეტანი იყო 500 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია, რის წყალობითაც რესპუბლიკის მრეწველობა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულ დონეზე გამოვიდა.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია, რომ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებმა გაუმჯობესეს სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა. 1973-1975 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობა შრომითი აქტივობა. 38 პროცენტით შემცირდა იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომლებიც სოზოგადოებრივ მეურნეობაში არ მონაწილეობენ, და 18 პროცენტით შემცირდა იმ კოლმეურნეთა რიცხვი, რომლებმაც შრომადღეების დადგენილი მინიმუმი ვერ გამოიმუშავეს.

თუ პირველ პერიოდში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა, 1973-1975 წლებში იგი მკვეთრად გაიზარდა, რამაც საშუალება მოგვცა 19,2 პროცენტით გადაგვჭარბებინა მერვე ხუთწლედის დონისათვის და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის 220 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქცია მიგვეყიდა.

როგორც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რესპუბლიკაში მიმდინარეობს მუშობა კაპიტალური დაბანდების უფრო ეფექტიანი გამოყენებისა და მშენებლობის ვადების შემცირებისათვის. ძირითადი ფონდების ამოქმედება 29 პროცენტით გაიზარდა. განვლილ ხუთწლედში საექსპლოატაციოდ გადაეცა 74 სამრეწველო საწარმო. რეკონსტრუირებულია ბევრი საამქრო, ქარხანა და ფაბრიკა, რის შედეგად მიღებულია სამრეწველო პროდუქციის საერთო მატების ნახევარზე მეტი.

დადგენილებაში აღნიშნულია ეკონომიკის განვითარების თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება. შრომის ნაყოფიერების ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა მრეწველობაში ხუთწლედის მეორე პერიოდში 7,9 პროცენტი შეადგინა პირველი პერიოდის 2,3 პროცენტთან შედარებით. სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორში ეს მაჩვენებელი ხუთწლედის პირველ პერიოდში 4,3 პროცენტითაც კი შემცირდა, მაშინ როცა მისმა საშუალო წლიურმა ზრდამ მეორე პერიოდში 6,9 პროცენტს მიაღწია. მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის საშუალო წლიურმა ტემპმა მეორე პერიოდში 5,5 პროცენტს მიაღწია პირველი პერიოდის 3 პროცენტთან შედარებით.

მრეწველობაში ცვლიანობის კოეფიციენტი მეორე პერიოდი ბაზარდა 3 პროცენტით პირველი პერიოდის 5 პროცენტით შემცირების ნაცვლად. რამდენადმე გაუმჯობესდა აგრეთვე საწარმოო სიმძლავრეთა დატვირთვა, რამაც შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად მეორე პერიოდში 9,1 პროცენტით გაადიდა ფონდუკუგება, მაშინ როცა პირველ პერიოდში იგი 7,8 პროცენტით შემცირდა.

1973-1975 წლების მანძილზე სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი როდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებამ დადებითი კორექტივები შეიტანა მატერიალურ წარმოებაში ფონდსაქმეებულზე გაანგარიშებით ეროვნული შემოსავლის წარმოების დონეშიც, რომლის ზრდის საშუალო-წლიურმა ტემპმა ხუთწლედის მეორე პერიოდში 8,5 პროცენტს მიაღწია პირველი პერიოდის 1,6 პროცენტთან შედარებით. რაც შეეხება ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის წარმოებას, 1975 წელს რესპუბლიკის ჩამორჩენა საშუალო-საკავშირო დონისაგან 23,6 პროცენტამდე შემცირდა 1972 წლის 29,8 პროცენტთან შედარებით.

ამრიგად, როგორც ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, **საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სწორი დასკვნები გამოიტანა თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებებიდან და შეცდომებიდან.**

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის სახელით

სკკპ XXV ყრილობას ვუპატაკეთ: **მეცხრე ხუთწლედი შესრულებულია!** სულ სამი სიტყვაა. მაგრამ რადენ ღრმა აზრია ჩაქსოვილი მათში! რა ულოდესი გარჯის, რა მეცადინეობის ფასად მივაღწიეთ ამას, რესპუბლიკის ყველა მშრომელს, ჩვენი პარტიული აქტივის რა დიდი ენერგია ჩაქსოვილი ამ დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტაში! და დღეს ძალავ ვამბობთ: მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულება ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის, ჩვენი შრომამოყვარე კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი შესანიშნავი სახალხო ინტელიგენციის გმირობა და ეაკაკაცობაა.

ჭეროვან პატივს მივაგებთ ყველას. მაგრამ ეს არც ერთ ჩვენგანს არავითარი თვითდამშვიდების საფუძველს არ გვაძლევს. წინ უამრავი სამეშაო გველის, და საქმეს მხურვალედ, შთაგონებულად, როგორც ამბობენ, მკლავდაკაბიწებული უნდა მოვეკიდოთ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა ეკონომიკის სფეროში მომხდარი დადებითი ძვრები და ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყურადღება მიაპყრო იმას, რომ რესპუბლიკა ერთ სულ მოსახლეზე საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოებით ჯერ კიდევ ჩამორჩება საშუალო საკავშირო დონეს, რაზეც ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ.

განსაზღვრა რა ამ ჩამორჩენის დაძლევის გზები, სკკპ ცენტრალური კომიტეტი სავანგებოდ აღნიშნავს, რომ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების **ეზნიშნელოვანესი ამოცანაა „ხსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებებში“ მახასიათებელ ყველა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლის უთუო შესრულება.**

ასე რომ, დღის წესრიგში კვლავ, როგორც სკკპ XXV ყრილობამ აღნიშნა, რაოდენობისა და ხარისხის საკითხები დგას. იმაზე, თუ როგორ აისახა ეს ძირითადი ეკონომიური კატეგორიები რესპუბლიკის სამეურნეო საქმიანობაში წლის პირველ ნახევარში, ამას წიგნთ ვილაპარაკეთ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, როცა ამ წლის ექვსი თვის მანძილზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგები შეეჯამეთ. ამიტომ ალარ შეეხებით მიღწეულ წარმატებებს და მთელ ჩვენს ყურადღებას ჯერ კიდევ გადაუბერავ საკითხებს მივაპყრობთ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ჩვენ წინაშე სახავს ამოცანას კიდევ უფრო მეტი ენერგიით მივაღწიოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, უფრო გადაჭრით ებრძოლთ ნედლეულის, მასალების, ფულადი სახსრების ხარჯვაში უყაირათობის, მოლანგვეობის. სამეშაო დროის დანაკარგების ფაქტების წინააღმდეგ. როგორ წყდება ჩვენში ეს ამოცანები?

შევეხებით საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საკითხებს. წლის პირველი ნახევრის შედეგები კი იმაზე მეტყველებს, რომ სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი წლეულს გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 10,5 პროცენტიდან 6,4 პროცენტამდე შემცირდა. ასეთივე ტენდენცია შეიმჩნევა თვით პირველ ნახევარწლეულში: წლეულს მეორე კვარტალში მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპი უფრო ნელი აღმოჩნდა, ვიდრე პირველ კვარტალში იყო.

პლენუმის ყურადღებას განსაკუთრებით მიიპყრობთ ამას, რადგან წლის პირველ ნახევარში ჩვენ მიერ მიღწეული ზრდის ტემპი თუმცა კი არის 1976 წლისათვის დაგეგმილზე (4,7 პროცენტი) და ვალდებულებით ნაკისრზე (6 პროცენტი) უფრო სწრაფი, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს 39-41 პროცენტით სამრეწველო წარმოების გადიდებას, როგორც ეს მიათე ხუთწლედისათვის ავარონი დასახული. ამ მიჯნის რომ მივაღწიოთ, სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიურმა ზრდამ საშუალოდ ხუთწლედში სულ ცოტა 6,8—7,1 პროცენტი უნდა შეადგინოს. მაგრამ ჩვენი ეკონომიკის რეზერვები გვაძლევს საუოველთაო დასაბრთ ამოცანა — ო

ი, წლეულს 7,5—8 პროცენტამდე გავზარდოთ სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპი. ასეთ დონეს რომ მივაღწიოთ, უნდა გამოვნახოთ და უფრო სრულად გამოვიყენოთ შინაგანი რეზერვები და შესაძლებლობები. ეს ორიენტაციასაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება გვაძლევს.

ასეთი რეზერვები, უდავოდ, გვაქვს, მაგრამ მათ ცუდად ვიყენებთ. უწინარეს ყოვლისა, ამ რეზერვებს ნაკლებად დატვირთული საწარმოო სიმძლავრეები შეიცავს. ჩვენ გვაქვს საწარმოები და მთელი დარგებიც კი, სადაც სიმძლავრეთა გამოყენება 25—30 პროცენტს არ აღემატება. წარმოგიდგენიათ, ამხანაგებო, სადამდე მივიდა საქმე!

საწარმოთა ხელმძღვანელები საწარმოო სიმძლავრეების ნაკლებად დატვირთვას უმთავრესად მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში არსებული შეფერხებებით ხსნიან. და უნდა ითქვას, რომ ამის საფუძველი აქვთ. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების შეფერხება სხვა არა არის რა, თუ არა რესპუბლიკის მთავარმომარაგების აპარატის უფერხო მეურნეობრობის და, თუ გნებავთ, სრული უყაირათობის შედეგი. მთავარმომარაგებისა და მისი ხელმძღვანელების საკითხს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით. აქვე უნდა ითქვას, რომ მუშობაში ხელმშეშებულობას მოპყავ ის, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკა სხვა რესპუბლიკებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების თითქმის ყველა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით ჩამორჩა, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყოველწლიური 10-20 პროცენტი ლიმონის ნაწარმი აკლდება. მეცხრე ხუთწლედში დაახლოებით 2 მილიონი კუბური მეტრი ხე-ტყე დაგვაკლდა.

დიდი შესაძლებლობები გვაქვს სახალხო მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების გაუმჯობესების ოარგში. მათი არასრული დატვირთვის გამო მეცხრე ხუთწლედში ასმილიონობით მანეთის პროდუქცია დაგვაკლდა.

ფონდუკუგების დონეზე ვაკლინას ახლენს ის გარემოება, რომ 1966-1975 წლებში საექსპლოატაციოდ გადაცემული 290 სამრეწველო ობიექტიდან 153 ობიექტმა დღემდე ვერ მიაღწია თავის საპროექტო სიმძლავრეებს, რის გამოც რესპუბლიკის მრეწველობამ 1975 წელს სამშობლოს თითქმის 200 მილიონი მანეთის პროდუქცია დაკაკლო.

ცუდად ვიყენებთ საწარმოო ფართობებსა და მანქანებისა და მოწყობილობის ახსებულ პარკს. 1975 წელს 43 შემოწმებულ საწარმოში ძირითად წარმოებაზე დადგმული მოწყობილობის მხოლოდ 86 პროცენტი მუშობდა. ამასთან მეორე ცვლაში მხოლოდ 31 პროცენტი.

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში უკვე 7 წელია დატვირთული არ არის 36 ათასი კვადრატული მეტრი საწარმო ფართობები, ფოლად-თუჯ-სამსხმელო ქარხანაში მათ მხოლოდ 63 პროცენტით იყენებენ. ასეთი მაგალითი ბევრია.

ფონდუკუგების ზრდას მნიშვნელოვნად აკავებს ძირითადი საწარმოო ფონდების, განსაკუთრებით მათი აქტიური ნაწილის განახლების ნელი ტემპი. მაგალითად, უკანასკნელი 10 წლის მანძილზე 20 წელზე მეტი ხნის ჩარხების ხვედრითი წონა ლითონსაჭრელი ჩარხების საერთო პარკში 19 პროცენტიდან 17 პროცენტამდე შემცირდა, ესე იგი სულ 2 პროცენტით. ეს იმის შედეგია, რომ სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოო გაერთიანებებსა და საწარმოებს, თვით პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებსაც დღემდე არა აქვთ მოწყობილობანი და ჩარხის პარკის განახლების ღრმად და ყოველმხრივ გაანალიზებული, მეცნიერულად დასაბუთებული კონკრეტული გეგმები. ასეთი მოწყობილობათ როგორ უნდა მიეცეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თავბრუდამხვევ ტემპს? დროა ყოველივე ამიოან პრაქტიკული დასკვნები გამოვიტანოთ, ბოლოს და ბოლოს, მოძველებული საწარმოო ფონდების არსებობის ფაქტის აღნიშვნიდან მათს გადამწყვეტ. გეგმაზომიერ განახლებაზე გადავიდეთ. მოძველებული ტექნიკის ახალი და უახლესი ტექნიკით შეცვლის გეგმა, რომელიც შეთანხმებული იქნება შესაბამის სამინისტროებთან, ყოველ საწარმოს უნდა ჰქონდეს.

დიდი რეზერვები გვაქვს სამეშაო დროის უფრო რაციონალური და სრული გამოყენების დარგში. 1975 წელს სამეშაო დროის დანაკარგებმა მთელი დღის მოცდენების სახით თითქმის 260 ათასი კაცდღე შეადგინა. მარტო ამ მოცდენების მოსპობა დაახლოებით 25 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქციის მატებას მოგვცემდა. გაცდენების გამო სამეშაო დროის დანაკარგებმა მაინან 360 ათასზე მეტი კაცდღე შეადგინა, რის გამოც მრეწველობას 34 მილიონი მანეთის მთლიანი პროდუქცია დაკაკლდა.

დანაკარგების აღმოფხვრის გზაა წარმოების შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სრულყოფა, შრომის საწარმოო და ტექნიკური დისციპლინის განმტკიცება; სწორედ ამ დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლა ორის ჩვენი შემდგომი ზრდის ერთ-ერთი ძირითადი რეზერვი. ამასთან ეს რეზერვი რომ ავამოქმედოთ, როგორც ცნობილია, რაიმე განსაკუთრებული დამატებითი კაპიტალური დაბანდებები საჭირო არ არის.

ეკონომი ჩვენი სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს უბნად სამშენებლო სექმი მაგვაჩნია. რომელიც ჩვენთვის უპირველესი პარტიული მუშობაა, როგორც ეს ჩვენს პარტიულ ყრილობაზე ითქვა. თუ დღეს ვამბობთ, რომ უნდა დავჭოლოთ ჩვენს ეკონომიკაში მრავალი წლის მანძილზე წარმოშობილი ჩამორჩენა, და ამოოანად ვისახავთ მივაღწიოთ რესპუბლიკის ეკონომიური პოტენციალის ამაღლებას, უპირველეს ყოვლისა ყველაზე სერიოზული ყურადღება მშენებლობის გეუმჯობესების პრობლემას უნდა დავუთმოთ. ის, თუ რა დიდ ზარალს ეკონიკის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა იმის გამო, რომ გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებებს მთლიანად ვერ ვითვისებთ, იქიდან ჩანს, რომ 1966-1972 წლების მანძილზე აოთვისებელმა ასიგნებებმა 210 მილიონ მანეთს გადააჭარბა. ეს კი ბინების, სკოლების, საავადმყოფოების, სოფლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების მშენებლობის წლიურ პროგრამას შეადგენს.

კარგად მოგვარებული მშენებლობა—ეს არის, როგორც ცნობილია, ახალი საწარმოო სიმძლავრეები, ეკონომიური პოტენციალის ამაღლება, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება. კარგად მოგეხსენებათ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ დიდი სამშენებლო პროგრამის განხორციელებას ითვალისწინებს. ამრიგად, ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ სამშენებლო საქმისათვის ზრუნვა არა მარტო მოათე, არამედ მეთერთმეტე, აგრეთვე მომდევნო ხუთწლედების პრობლემა.

წლის პირველი ნახევრის შედეგებით კაპიტალური მშენებლობის დარგში ძალიან საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა მხოლოდ 79 პროცენტით შესრულდა. ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 92 პროცენტით, კაპიტალური დაბანდება ათვისებულია მხოლოდ 90 პროცენტით. უფრო მეტიც, ექვსი თვის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცემელია 2,5 მილიონი მანეთით ნაკლები ძირითადი ფონდები, ვიდრე მარუნ ამავე პერიოდში. მართალია, გარკვეულ გარეგანებას მივაღწიეთ ივნისში, როცა კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა 113 პროცენტით, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა — 107 პროცენტით შესრულდა. წლიური პროგრამის შესასრულებლად ეს ტემპი მეტიცედ უნდა შეეინარჩუნოთ.

ჩვენი უბანი ეს ამოცანა ფავაწყნაურთან ჩამორჩენილი უბნები. წლიური გეგმის შესრულებას სისტემატურად ფუშავს რესპუბლიკის ძირითადი საიჯარო ორგანიზაცია — მშენებლობის სამინისტრო. მუშობა გაუარესა სასოფლო მშენებლობის სამინისტრომაც, რომელიც ზედიზედ ორი თვეა ფუშავს კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებისა და არეგვეს ასამოქმედებელი ობიექტების მშენებლობის სხვადასხვა ეტაპის დამთავრების დასაბულ ადგილს.

ჩვენს სამშენებლო ორგანიზაციებში არ არის წარმოების ეფექტიანი ორგანიზაცია, ცუდად არის მოგვარებული საქმე, ამას კი გეგმების მუდმივი ჩაშლა, მატერიალურ-ტექნიკური სახსრების გაფანტვა, კადრების დენადობა, მძიმე ეკონომიური და ეკონომიური ზეგიგები მოყვება.

ეუყაირათობის აშკარა გამოვლინებაა სამშენებლო ტექნიკის გამოყენების დონე. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ძირითადი სამშენებლო მანქანები და მექანიზმები მეორნეობაში ყოველ 100 დღიდან საშუალოდ 30-40 დღეს მოცდენილია. მეურნეობაში ამ მანქანების ყოფნის დროის 12-17 პროცენტი რემონტსა და რეგონტის მოლოდინს უნდება, მათი საშუალო-სადღეღამისო დატვირთვა კი 9 საათს არ აღემატება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამშენებლო ტექნიკას ოგნერთა სანაუგრეოდ ვიყენებთ. სამშენებლო ორგანიზაციები, სამინისტროები და უწყებები მიზანდასახულ მუშობას არ ეწევიან შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის კომპლექსური გეგმების შედგენისა და განხორციელებისათვის. აქ მცირე მექანიზაციის საშუალებათა გამოყენების შესაძლებლობებსაც უგულებელყოფენ.

სამშენებლო სამუშაოთა მსგელობაში ჩამორჩენა ბევრ ხელმძღვანელს სურს მუშათა კადრების ნაკლებობით ახსნას. ეს სწორია, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. მთავარი ის არის, რომ იგივე ხელმძღვანელები ვერ ინარჩუნებენ არსებულ კადრებს, სათანადოდ არ ზრუნავენ ადამიანებისათვის.

სამშენებლო სამეურნეოში ეს და სხვა სერიოზული ნაკლოვანებები უფრეკს სწორედ საფუძვლად იმ მიზეზებს, რომლებსაც ბევრი საწარმოო სამძლავრის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტის დროული ამოქმედების ჩაშლა მოაქვთ.

წარმოებისა და შრომის ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებები ბევრად ამცირებს მშენებლობის ეკონომიურ ეფექტიანობას, სამშენებლო საქმათვალოებისა და ტრესტების მუშაობის რენტაბელობას. მარტო მშენებლობის სამინისტროს ჩამორჩენილი ორგანიზაციების ზარალის თანხამ შარშან 10 მილიონი მანეთი შეადგინა. ეს მოწმობს, რომ ამ სამინისტროში ეკონომიური სამსახურისა და ფინანსური მდგომარეობის საკითხებს ჯერ კიდევ სერიოზულად არ ეკიდებიან, ამ მიმართულებით მუშობა, შეიძლება თამამად განვაცხადოთ, მთლიანად ჩაშლილია.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ ამოცანად დაგვისახა უმოკლეს ვადაში დავამთავროთ მუშობა სამშენებლო წარმოების მართვის სტრუქტურის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ სინამდვილეში დასახული ღონისძიებები მთლიანად ვერ სრულდება. მაგალითად, ჩვენი სამშენებლო და სამონტაჟო ტრესტების მხოლოდ 19 პროცენტი ასრულებს საკუთარი ძალებით 15 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სამუშაოთა მოცულობას. მაშინ როცა კავშირში ასეთი გამსხვილებული ტრესტების რაოდენობამ უკვე 49 პროცენტს მიაღწია.

ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციების სტრუქტურის შემდგომი სრულყოფისათვის მუშობა უფრო მიზანდასახულად, გეგმაზომიერად უნდა წარმართოთ. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში დიდი როლი შეუძლიათ შეასრულონ მინისტრთა საბჭომ, სახმშენმა, ცენტრალური კომიტეტის განყოფილებამ.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს საშენ მასალათა საწარმოების მუშობის მტკიცე გარდაქმნის ბრძოლა, საავსებით მოაწესრიგოს და ძოგვაროს მათი მუშობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მოითხოვს: **საქართველოს სსრ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მთელი ყურადღება დაეთმოს იმას, რომ საჭიროა განხორციელდეს კაპიტალურ მშენებლობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის დამატებითი ღონისძიებები და ამ მოთხოვნაზე ჩვენი პასუხი კონკრეტული, საქმიანი და ეფექტიანი იყოს.**

როგორც ჩანს, დადგა დრო კაპიტალური მშენებლობის — რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის პრობლემების ეამი უფრო საგნობრივ ლაბორატორიაზე გადავიდეთ, და ეს ნამდვილად დიდი პარტიული საქ-ბაასი, ეფექტორობთ, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ერთ-ერთ პლენუმზე ან პარტაქტივზე უნდა გაიმართოს. ამის აუცილებლობა აშკარად მომწიფდა.

დიდი რეზერვები გვაქვს სოფლის მეურნეობაშიც, რომლებსაც ჯერჯერობით აგრეთვე ძალიან სუსტად ვიყენებთ. ითვალისწინებს რა ამას, სკკპ ცენტრალური კომიტეტი საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ დადგენილებაში აღნიშნავს, რომ საჭიროა მნიშვნელოვნად გავადიდოთ მარცვლეულის, ყურძნის, ჩაის ფოთლის, ციტრუსების, ბოსტნეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების მოსავლიანობა და მთლიანი მოსავალი, ჩვენთან გავზარდოთ ყველა სახეობის მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება.

ჩვენ წინაშე დასახული ამოცანები რომ შევასრულოთ, წარმატებით რომ დავამთავროთ მეათე ხუთწლედი, ძირფესვიანად უნდა გავეუმჯობესოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა რგოლის მუშაობა.

ჩვენი ხუთწლიანი გეგმით ვანსაზღვრული მიგანები მინ

განვამტკიცოთ წარმატებები, სრულვყოთ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, მივაღწიოთ საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის ახალ აღმავლობას!

(გაგრძელება)

ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ საზოგადოებრივი მეურნეობის უპირატესი ზრდის ტენდენციასთან ერთად ბოლო წლებში საკრძნობლად იზრდება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის მოცულობა მოსახლეობაშიც.

მეორე, განვლილი წლების მანძილზე მტკიცე საძირკველი ჩაეყარა საზოგადოებრივი წარმოების შემდგომ გადიდებას. ეს არის ახალი ეტაპები, ხეხილისა და ციტრუსის ბაღების გაშენების დაჩქარებული ტემპი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ეს არის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებები, რომელმაც განსაზღვრა რესპუბლიკაში მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის ამოცანა, აგრეთვე ამ ბოლო დროს განხორციელებული ზოგიერთი სხვა ღონისძიება.

ღღეს პლენუმს უნდა მოვახსენოთ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ამ საკითხში ზუსტ, მკაფიო პოლიტიკას ახორციელებდა, ეს პოლიტიკა რეალისტური იყო. იგი სავსებით შეესაბამებოდა სახელმწიფო ინტერესებს და მიზნად ისახავდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების შემდგომ გაუმჯობესებას.

ზოგიერთი ამხანაგი წინადადებას იძლეოდა თავდაპირველად გადაჭრით შეგვეტია სოფლის მეურნეობის პირადი სექტორისათვის, სავსებით განგვედევნა იგი. მაგრამ ასეთ მოქმედებას მოჰყვებოდა, ერთი მხრივ, სოზგადოებრივი მეურნეობისა და პირად სარგებლობაში არსებული მეურნეობის თანაფარდობის მექანიკური შემცირება, და, მეორე მხრივ, საერთოდ რესპუბლიკაში შეამცირებდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას, რაც შესაბამისად გავლენას იქონიებდა გლეხთა საერთო შემოსავალსა და მოსახლეობის მომარაგების პრობლემაზე.

ასეთი, მე ვიტყოდი განურჩეველი მიდგომა ურთულესი სოციალურ-ეკონომიური პრობლემისადმი, ანტიტურიზმის ელემენტებს წარმოშობდა. ჩვენ, ბუნებრივია, ვერ დავადგებოდით, არ დავადგებით და არც არასდროს დავადგებით ასეთ გზას. ამ პრობლემის გადაწყვეტაში მთავარი, მაკისტრალური მიმართულებაა საზოგადოებრივი წარმოების მკვეთრი გაიდიდება, პირად სარგებლობაში არსებულ მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გონივრული რეგულირება. და ბოლოს, — საკარმიდამო ნაკვეთებზე წარმოებული პროდუქციის გასაღებისა და შესყიდვის უმნიშვნელოვანესი პრობლემების საბოლოო გადაჭრა.

ჩვენი მთავარი ამოცანაა საზოგადოებრივი მეურნეობა გლეხის თვითეული ოჯახის კეთილდღეობის ძირითად წყაროდ გადავაქციოთ. და ამ მიმართულებით უკვე მოპოვებულია გარკვეული წარმატებები. საკმარისია აღინიშნოს, რომ კოლმეურნის ოჯახის წლიური შემოსავალი საზოგადოებრივი სექტორისაგან მარშან გაიზარდა 1972 წელთან შედარებით 261 მანეთით, ანუ 30 პროცენტით, ხოლო ამ სექტორის ვედრითი წონა ოჯახის ერთობლივ შემოსავალში— თითქმის 2 პროცენტით. მოყვანილი მონაცემები საუკეთესო არგუმენტია ყოველი კოლმეურნე გლეხისათვის, სოფლის ყოველი მცხოვრებისათვის საზოგადოებრივი მეურნეობის გაკეთილშობილების სასარგებლოდ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, თუ რაოდენ საჭიროა კვლავაც ვიზრუნოთ სოფლად კერძოსაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, გამწვავების პოლიტიკას.

მეათე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში საზოგადოებრივი სექტორის წილი უნდა გაიზარდოს 7,7 პროცენტით. და ეს უნდა მობდეს მოსახლეობაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში. ამ დონეს შეიძლება არათუ მივაღწიოთ, არამედ გადავაჭარბოთ კიდეც იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივ სექტორში უზრუველვყოფთ სოფლის მეურნეობის კულტურების მოსაყვანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრ ზრდას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილება ჩვენს ყურადღებას იმას მიაპყრობს, რომ რესპუბლიკაში არის ეკონომიურად სუტა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელოვანი ნაწილი და სახავს ამოცანას — უზრუნველყოთ ყველა მეურნეობის რენტაბელობა სახელმწიფო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარების ბაზაზე. სწორედ ეს არის ჩვენი მესამე ამოცანა.

თუმცა უკანასკნელი წლების მანძილზე ნაკლებრენტაბელური და ზარალიანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რიცხვი 270-ით ანუ 31,6 პროცენტით შემცირდა, მაგრამ 425 კოლმეურნეობა და 198 საბჭოთა მეურნეობა კვლავ ნაკლებრენტაბელური და ზარალიანია.

მაინც რა ხდება?

უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, შესაბამისი პარტიული და სამეურნეო ორგანოები ჯერ კიდევ ცუდად სწავლობენ ყველა მეურნეობის უზრუნველობის უზრუნველყოფის საკითხებს, არ ახორციელებენ გადამწყვეტ ღონისძიებებს ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განსამტკიცებლად. ეს იმის მოწმობს, რომ ჯერ კიდევ ნელა ვასრულებთ ამ საკითხზე საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მითითებებს. აი რატომ არის საჭირო, რომ დაუყოვნებლივ, ხვალიდანვე შევუდგეთ თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ეკონომიკის ღრმა შესწავლას. კარგად უნდა ვიცნობდეთ თვითეულ ობიექტზე საქმის მდგომარეობას, შემოვიღოთ თვითეული მეურნეობის მეცნიერული პასპორტი, და გადავსინჯოთ საკადრო პოლიტიკის საკითხები. თუ საჭირო იქნება ამ კოლექტივების ხელმძღვანელები პარტიის ცენტრალური კომიტეტის დროებით ნომენკლატურაში შევიყვანოთ.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის ძირითადად მოვსპოთ სასოფლო-სამეურნეო ქვეგანაყოფების ზარალიანობა და ნაკლებრენტაბელობა. ამის მიღწევის რეალური გზაა გადამწყვეტი ბრძოლა უყაირათობის, მფლანგველობის, სახალხო დოკლათისადმი, უწინარეს ყოვლისა სასოფლო-სამეურნეო საკარგულებისადმი დაუდეგარი დამოკიდებულების წინააღმდეგ. და ეს არის ჩვენი მეოთხე ამოცანა, რომლის გადაწყვეტას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოთ.

ამხანაგებო!

ყველა ეკონომიური პრობლემა, რომლებიც მეათე ხუთწლედში უნდა გადაწყვეტოთ, ღრმა, გააზრებულ მიდგომას, სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაციის მეცნიერული პრინციპებით განხორციელებას მოითხოვს.

ამ მიმართულებით უკანასკნელი წლების მანძილზე, განსაკუთრებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის შემდეგ, ბევრი რამ გაკეთდა. უწინარეს ყოვლისა მხედველობაში გვაქვს სახალხო მეურნეობის ხხვადასხვა დარგიდამი ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა.

თუ 1974 წელს რესპუბლიკის მრეწველობაში იყო მხოლოდ '63 საწარმოო გაერთიანება, რომლებიც სამრეწველო პროდუქციის მთელი მოცულობის დაახლოებით 20 პროცენტს გვაძლევდნენ, 1976 წლის დამდეგისათვის მათმა რიცხვმა 89-ს მიაღწია. ისინი აერთიანებენ საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროების 329 საწარმოოს და რესპუბლიკის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 28 პროცენტს გვაძლევენ.

მაგრამ მართვის მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ დიდმნიშვნელოვან სფეროში ნაკლოვანებები და ხარვეზებია. ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად ვერ ვიყენებთ ამ დარგში არსებულ წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დიდ პოტენციურ შესაძლებლობებს. ზოგჯერ გაერთიანებებს მხოლოდ საწარმოთა მექანიკური შერწყმის გზით, ეკონომიურად დაუსაბუთებლად ქმნიან. ამის შედეგად, რა პარადოქსულიც უნდა ეს, ზოგიერთმა სამრეწველო საწარმომ, მას შემდეგ, რაც გაერთიანებაში შევიდნენ, არათუ არ გააუმჯობესა თავისი საქმიანობა, არამედ, პირიქით, მნიშვნელოვნად გააუარესა მუშაობის ბევრი მაჩვენებელი.

ჩვენი აზრით, საჭიროა ცენტრალურმა კომიტეტმა, მინისტრთა საბჭომ ყურადღებით შეისწავლონ მრეწველობისა და მშენებლობის დარგში ახალი სტრუქტურული ფორმირებების მუშაობის პრაქტიკა და შესაბამისი საკავშირო ორგანოები მონაწილეობით გაფართოებულ კოლეგიაზე სხდომაზე განიხილონ ყველა მტკივნეული პრობლემა.

ქვეყნის მოწინავე საწარმოებმა და საწარმოო გაერთიანებებმა პროდუქციის ხარისხის მართვის დიდი გამოცდილება შეიძინეს. ამგვარად ეს ძალიან მნიშვნელოვანი და, ალბათ, ყველაზე საჭირბოროტო საკითხია, რადგან ჩვენი ეკონომიკა ახლა ბევრად ზარალობს იმის გამო, რომ გამოშვებული ნაწარმის დიდი რაოდენობა თავისი ხარისხით სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს, მოსახლეობის მოთხოვნასა და გემოვნებას არ შეესაბამება.

ხარისხის მართვის დანერგვის დარგში ჩვენს რესპუბლიკაში ზოგი რამ, რა თქმა უნდა, კეთდება. ვამოიყენეს რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებული ლვოვის ოლქის მოწინავე საწარმოთა გამოცდილება, ქუთაისელმა ავტომობილშენებლებმა და თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივმა შეიმუშავეს და წარმატებით ნერგავენ პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსურ სისტემას. ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის გამოცდილება ხარისხის მართვაა სამეში მოიწონა სსრ კავშირის სახსტანდარტმა.

მაგრამ ნაწარმის ხარისხის ამაღლების საკითხები რესპუბლიკაში ნელა წყდება.

ჩვენ არაგრთხელ გვითქვამს, რომ საჭიროა ძირფესვიანად გარდაიქმნას რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში შექმნილი ფართო მოხმარების საქონლის წარმოებისა და ამ საქონლით ვაჭრობის საკითხთა კომისიის მუშაობა. ამ პრობლემებს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით. აქვე მინდა ვთქვა, რომ ამ კომისისაგან მოვითხოვდით, ვთხოვთ და მოვთხოვთ თავისი საქმიანობის ქვაკუთხედად გამოშვებული პროდუქციის ხარისხი მიიჩნიოს, რათა სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგების შეჯამებისას სისტემატურად ისმენდნენ ინფორმაციას ნაწარმის ხარისხის მდგომარეობის, ხარისხის მართვის შესახებ.

მეტად დიდი და სერიოზული ამოცანებია დასახული ჩვენს წინაშე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის დარგში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელმა დადგენილებამ „სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“ სოფლად კომუნისტური მშენებლობის მკაფიო რეალისტური პროგრამით შეგვიაიარაღა. ღღეს, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად საკოლმეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის სქემებისა და გეგმების შემუშავებას რესპუბლიკური და რაიონული კომისიები შეუდგნენ, როგორც ჩანს, საჭიროა რამდენიმე კონკრეტულ საკითხს შევეხოთ.

რესპუბლიკაში საერთოდ მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობაა. მისი ასეთი სტრუქტურა პრაქტიკულად მთელ დარგს გასდევს თვით საწარმოო ბრიგადებამდე. ამის შედეგია **დახარჯული** მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების დაქსაქსულობა, წვრილსაქონლურობა და მცირე ეფექტიანობა. სამეურნეობათშორისო ინტეგრაციის ბაზაზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სპეციალიზაცია-კონცენტრაციამ ზონებისა და რაიონების მიხედვით უახლოეს წლებში უნდა გამოსწოროს ამ საქმის დგომარეობა მეტ წილ დარგებში. მაგრამ არის დარგი, რომელიც ყველა რაიონში უნდა დარჩეს და განვითარდეს გაძლიერებული ტემპით. ეს არის მეცხოველობა.

მეცხოველეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პროცესების შემდგომი გაღრმავების გზაზე უწინარეს ყოვლისა უნდა დავამთავროთ მესაქონლეობის სამეურნეობათშორისო სპეციალიზაცია და კონცენტრაცია. აქ ჩვენ გვაქვს ზუსტად განსაზღვრული პარამეტრები: სამეურნეობათშორისო მეცხოველეობის გაერთიანებანი პირველ ეტაპზე რაიონული მასშტაბით დასპეციალდებიან და ძირითად ყურადღებას დაუთმობენ საერთოდ მოზარდეულის, და კერძოდ, სარეპროდუქტორო მოზარდეულის მოშენებას. აგრეთვე ხორცის წარმოებას. ეს საშუალებას გვაძლევს ყოველგვარი მიმართულების ყველა მეურნეობა ავტომატურად დავასპეციალოთ ძროს წარმოებაზე. ხაზასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ განსაკუთრებით მოვითხოვთ მხოლოდ ძროს წარმოების სპეციალიზაციას. ამასთანავე ეეცდებით უზრუველვყოთ მისი კონცენტრაცია იქ, სადაც საქმე მსხვილი კომპლექსების შექმნას ეხება, მაგრამ რამდენი კომპლექსიც უნდა ავაშენოთ არამც და არამც არ შეიძლება არსებული ძროს ფერმების გაუქმება, პირიქით, ამ ფერმებში ძროხის რაოდენობა უკვე მას შემდეგ უნდა გავზარდოთ, რაც სამეურნეობათშორისო გაერთიანებები წაიყვანენ იქიდან მთელ სულდობას, პროდუქტიულს გარდა.

მესაქონლეობისაგან ერთგვარი განსხვავებით, სამეურნეობათშორისო კოოპერაციის ბაზაზე სრულ სპეციალიზაციასა და კონცენტრაციას ჩვენ მხრის ეუბერთ მეღორეობაში, მეფრინველეობაში, მეცხვარეობაში, მეგოცერეობაში.

შემდეგი დარგი, რომლის სპეციალიზაცია და კონცენტრაცია უახლოეს ორ წელიწადში დაუყოვნებლივ აქტივიზაციასა და საბოლოო გადაწყვეტას მოითხოვს, — ეს არის მებოსტნეობა. ჩვენი გამოცდილება მოწმობს, რომ ამ საქმეში კვლავაც უნდა დაეუთმოთ უურადღება ბოსტნეულის წარმოების ზონალური სპეციალიზაციას, კონცენტრაციას საბჭოთა მეურნეობებში, ზოგიერთ კოლმეურნეობაში, რომლებიც სამრეწველო ცენტრებისა და საკურორტო ზონების ირგვლივ და მახლობლად მდებარეობენ. ჩვენ უნდა გავაფრთხილოთ ამხანაგები: არ შეცდნენ და ცალმხრივად არ გიგულონ ეს საკითხი. საქმე ის არის, რომ ზონები, რაიონები, აგრეთვე მეურნეობები, რომლებიც დასპეციალებული არიან ბოსტნეულის წარმოებაზე, მარტო ბოსტნეულს როდი მიაყვანენ. ჯერ ერთი, ყველა ამ რაიონსმ, მებოსტნეურობის თანაბრად, განვითარდება სარძეო-სახორცე და, თითქმის ყველა მეურნეობაში, სარძეო მეცხოველეობა, რისთვისაც საჭიროა ვაწარმოოთ საკვები, მათ შორის მარცვლეული. მეორე, თვით ბოსტნეულის თესლბრწყვა მოითხოვს სხვადასხვა ჯგუფის კულტურების ჩართვას.

ბევრი ამხანაგი ხშირად ვერ გარკვეულა ამ საკითხში და ჩვენს, რომ სპეციალიზაციის შესახებ საერთო მოთხოვნის მიუხედავად რესპუბლიკური ორგანოები მათ ბევრი კულტურის წარმოებას უგეგმავენ. რა თქმა უნდა, წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის სქემების საბოლოო დამუშავების შემდეგ ბევრი რაიონი გათავისუფლდება ზოგიერთი სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციის სასავონლო წარმოებისაგან, ესაა და ეს. რაიონების მრავალდარგოვანი სტრუქტურა ძირითადად შენარჩუნებულ იქნება. ამას ჩვენი კლიმატური და ნიადაგური პირობების მრავალფეროვნება, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ადგილობრივი მოსახლეობის მომარაგების ინტერესები მოითხოვს, ამავე დროს პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა უნდა იმუშაონ სამეურნეობათშორისო სპეციალიზაციის საკითხების გადასაწყვეტად ყველაზე ფართო კოოპერაციის გზაზე.

შეუწყნარებელია აგრეთვე კარტოფილის წარმოების სრული ზონალური სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გადაწყვეტის გადადება. კარტოფილის წარმოება მთლიანად რესპუბლიკის სამხრეთის ზეგნის ზონას უნდა დაეკისროს. რაც შეეხება საადრეო კარტოფილის წარმოებას, აქ არის გარკვეული სპეციალიზაცია და კონცენტრაცია: ამ საქმეს ძირითადად ბოლნისი და, შედარებით მცირე მოცულობით მარნეულის რაიონები მისდევენ.

უკვე მომწიფდა ეთერზეთოვანი კულტურებისა და თამბაქოს წარმოების ზუსტი ზონალური სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საჭიროება და გამოიკვეთა მისი კონტურები.

რესპუბლიკაში წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ყველაზე მაღალი დონე გვაქვს სუბტროპიკულ მეურნეობაში. მაგრამ, თუ ჩაისა და მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობები ამ მხრივ საგანმეშოა, ამ ზონის კოლმეურნეობებში რჩება მრავალდარგოვნობისა და წვრილსაქონლურობის საკმაოდ მაღალი დონე. ამიტომ აქ უნდა ვიზრუნოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის კოოპერირების უფრო ფართო ფორმებზე. მეციტრუსეობის გაერთიანების შექმნას ერთ-ერთ ძირითად მიზნად აქვს — კოოპერაციის სწორედ ასეთი ფორმის შემუშავება და განხორციელება.

რესპუბლიკისთვის ისეთი წამყვანი დარგების ღრმა სპეციალიზაციისა და კოცენტრაციის გარკვეული მოდელების შექმნის საქმეში როგორიც არის მევენახეობა და მებაღეობა, ჩვენ დიდი სიფრთხილე გვმართებს.

ერთი მხრივ, ჩვენ გვაქვს საწარმოო სპეციალიზაციის ისტორიულად შექმნილი ზონები, სადაც ეს კულტურები უდავოდ ბატონობენ სხვებზე, მაგრამ ამ ზონების შიგნით არსებობს დიდი მოცულობის სავარგული, რომლებიც გამოუსადეგარია ვაზისა თუ ხეხილისათვის. მეორე მხრივ, ზონებში, რომლებიც სხვა საწარმოო მიმართულებებით სპეციალდებიან, არის უნიკალური ჯიშების, განსაკუთრებით უურძნის ჯიშების წარმოებისათვის შესაფერისი ფართობები, ამიტომ საკითხები ყოველ ცალკეულ რაიონში უნდა გადავწყვიტოთ ავტონომიურად, ადგილობრივი პირობებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით. მაგრამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საჭიროა შიდარაიონული სამეურნეობათშორისო კოოპერაცია. დასაშვებად მიგვაჩნია, რომ აქ საჭიროა შეიქმნას სამეურნეობათშორისო გაერთიანებები, განსაკუთრებით რაიონებში, სადაც ყურძენი და ხილი მთავარი კულტურები არ არის.

რაც შეეხება უშუალოდ სამრეწველო მევენახეობისა და მებაღეობის ზონებს, აქ ამოცანა ნათელია. ჩვენ დიდი მასშტაბის ბაღ-ვენახების გასაშენებლად მიწის სავარგულების გამოყოფა კოოპერირების კურსს უნდა დავადგეთ.

აქ რესპუბლიკის პირობებში სოფლის მეურნეობის მთავარი დარგების პროდუქციის წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პრინციპულ მიმართულებებს იმიტომ შევეხეთ, რომ ჩვენი საწყისი პოზიციები განსაზღვროთ, ამიტომ მინდა ამხანაგები გავაფრთხილო, რომ ისინი დოგმატურად არ აღიქვან. ამ საკითხზე დიდი პრინციპული სჯა-ბაასი გეგლის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც მომდინარე წლის დამლევს ან მომავალი წლის დამდეგს გაიმართება. იქამდე ბევრი დებულება გადაისინჯება და დაზუსტდება.

ამ საკითხებში არ გვეპატიება შეცდომები ან სარისკო ექსპერიმენტი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერთწლოვანი კულტურების პროდუქციის წარმოებაც სპეციალიზაცია და კონცენტრაცია შედარებით უმტკივნეულოდ და საკმაოდ მოკლე დროში მოხერხდება, მრავალწლოვანი კულტურების ბაზით ეს პროცესები უფრო გულმოდგინედ და უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის უნდა გავიანგარიშოთ.

ცალკე შეეხებით აგროსამრეწველო ინტეგრაციის პრობლემებს, რომელიც საბოლოო ანგარიშით ჩვენს სოფლის მეურნეობას ზრდის ახალი ფართო ჰორიზონტები უნდა დაუსახოს. ამისკენ მივყავართ მაგისტრალურ გზას, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარულმა პოლიტიკამ განსაზღვრა თანამედროვე ეტაპზე. თუ ჩვენ გვგონია, რომ უკვე დღეს შეგვიძლია ფართოდ ვიაროთ სამეურნეობათშორისო კოოპერაციის გზით, ეს იმიტომ, რომ უმისოდ ბევრ დარგში ვერ მოვახდენთ წარმოების სპეციალიზაციასა და კონცენტრაციას და, რაც მთავარია, იგი ხელს უშყობს კოოპერირებულ მეურნეობებში ჩამორჩენილი რგოლების ამაღლებას და ამით ნიადაგს უმზადებს მეურნეობებს გადავიდნენ ინტეგრაციაზე სამრეწველო საწარმოებთან.

ვერტიკალური ინტეგრაცია და აგროსამრეწველო გაერთიანებების შექმნა იქ უნდა განხორციელდეს, სადაც ამისათვის ყველაზე მეტად მომწიფდა პირობები. ამ საკითხებში ჩვენ არ უნდა ავჩქარდეთ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა ძალიან ყურადღებით შეისწავლიან ამ პრობლემის ყველა ასპექტს, რამდენადაც აქ ერთმანეთს ხვდება სახალხო მეურნეობის ბევრი დარგის ინტერესები.

ამ მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ გეგმაზომიერად, აუჩქარებლად, მაგრამ ამასთანავე ენერგიულად, თანმიმდევრულად და, რაც ყველაზე მთავარია, არ უნდა დავუშვათ გადახრები.

უაღრესად საჭიროა, რომ გლობალური ღონისძიებების განხორციელების დროს მხედველობიდან არ გამოგვრჩეს, როგორც ეს ზოგჯერ ხდება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მიმდინარე პრაქტიკული საკითხები, არ გადავწყოთ ისინი მეორე პლანზე. ეს არ უნდა მოგვივიდეს. ჩვენ ვაფრთხილებთ ყველა ამხანაგს, და ეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის კატეგორიული მოთხოვნაა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციისათვის მთელი მუშაობა სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე უნდა წარმოებდეს მორიგი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ხელმძღვანელობის სისტემატური გაუმჯობესების პირობებში.

უნდა გავაფრთხილოთ ამხანაგები, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ყოველდღიური პრობლემებისადმი ყურადღების ყოველგვარ შენელებას სახელმწიფო დისციპლინის ყოვლად უხეშ დარღვევად მივიჩნევთ.

დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტაში უაღრესად აქტიურად მონაწილეობენ ქართველი მეჩხერეები. ამ წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის აღმავლობისათვის, განსაკუთრებით ფუნდამენტური კვლევის, სახალხო მეურნეობის საჭიროებებთან და პოთხოვნილებებთან მეცნიერების დაახლოების, მეცნიერული საწარმოო ძალად გადაქცევის დარგში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ახალ, უფრო სერიოზულ ამოცანებს გვასახავს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომი განვითარებისათვის. დადგენილებამ შესაბამის ორგანოებს ერთ-ერთი მთავარი ამოცანად დაუსახა **უზრუნველყონ რესპუბლიკის საწარმოო ძალების უფრო სწრაფი განვითარება მისი მდიდარი ბუნებრივი და ნიადაგ-კლიმატური პირობებს, მატერიალური და შრომითი რესურსების დიდი მეცნიერული პოტენციალის, ყველა შინაგანი რეზერვისა და შესაძლებლობის რაციონალური გამოკენებისა საფუძველზე.**

ამბიგად, რესპუბლიკის მეცნიერული პოტენციალი აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობა ხდება. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მეცნიერულ პოტენციალს აშკარად ვერ ვიყენებთ საკმარისად. ღღეს საქმე უნდა ეხებოდეს რესპუბლიკაში მეცნიერების ხელმძღვანელობისა და ორგანიზაციის სერიოზულ გარდაქმნას. მხოლოდ ამ საფუძველზე შეგასრულებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულ ამოცანას, რომ **ავამაღლოთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობა, განვამტკიცოთ მეცნიერების კავშირი ცხოვრებასთან.**

ალბათ სწორი იქნება, თუ ჩვენი პლენუმი რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ბრეზიდიუმს, მეცნიერების და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტსა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაავალებს შეიმუშაონ კონკრეტული წინადადებები სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობის ყველა პრაქტიკულ საკითხზე და ეს წინადადებები წლის დამლევამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოოდგინონ.

მეცნიერების სახელმწიფო მართვის სისტემის სრულყოფასთან ერთად საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, სამეცნიერო კოლექტივების მუშაობის პარტიული ხელმძღვანელობის პრაქტიკა.

მეცნიერების პარტიული ხელმძღვანელობის საკითხებში უწინარეს ყოვლისა იმით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომ მეცნიერების უშუალო საწარმოო ძალად გადაქცევის პრობლემა მარტივი, პასიური პროცესი არ არის. ეს რთული, აღმშენებლობითი, ჭეშმარიტად შემოქმედებითი პროცესია.

ამ პროცესში მთავარი ის არის, რომ იგი ისახავს პროგრესული, ნოვატორული, მოწინავე იდეებისა და მეცნიერული მეთოდების ბრძოლას დრომოჭმული იდეებისა და ძველი მეთოდების წინააღმდეგ. ეს არის მოწინავე ძალების ბრძოლა კონსერვატიზმის, ჩამორჩენილობის, რუტინიორობის წინააღმდეგ. ამასთან, ეს ბრძოლა განყენებული, აბსტრაქტული კი არ არის, არამედ სავსებით კონკრეტული, საგნობრივი, მიზანმიმართულია. ეს ბრძოლა გულისხმობს ყველა იმათგანის აკტივიზაციას, ვინც წვრილი მეცნიერთა არმიისა. გულისხმობს თვითეული მეცნიერის, თვითეულ სამეცნიერო კოლექტივის, ყველა იმათ ბრძოლას, ვინც მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესში, სოციალურ და კულტურულ პროგრესში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს.

არცერთი მეცნიერი, თუ იგი ჭეშმარიტი მეცნიერია, კვერდზე არ უნდა განუდგეს ამ ბრძოლას. თვითეულმა მეცნიერმა, თუ მან გადაწყვიტა მთელი ცხოვრება მეცნიერებას მოახმაროს, ნამდვილი მებრძოლის, თუ გნებავთ, მეცნიერების გმირის თვისებები უნდა ვამოიჩინოს, მთელი თავისი გონებისა და ტალანტის ძალა მეცნიერებას, საზოგადოებას, სახელმწიფოს ინტერესებს მოახმაროს.

საკითხის ასე დაყენება სავსებით კანონზომიერია, იგი მთლიანად შეესაბამება ჩვენი სოციალისტური მეცნიერების ინტერესებს. საზოგადოებაში, სადაც ყველგან და ყველაფერში წესრიგი სუფევს, სადაც მაღალი ორგანიზებულობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, მაღალი დისციპლინის, დემოკრატიზმისა და ნამდვილი შემოქმედების პრინციპები იძარკვებს, თვითეულ მეცნიერის ნიჭისა და უნარის ყველაზე სრული გამოვლენისა და გაფურჩქვნის საუკეთესო პირობები იქმნება.

მივაღწიოთ მთელი მეცნიერებისა და თვითეული მეცნიერის საზოგადოებრივი აქტივობის მნიშვნელოვნის ამაღლებას — აი რა არის ჩვენი ამოცანა.

ასეთია, ამხანაგებო, მოკლედ, ზოგიერთი ჩვენი ამოცანა ეკონომიკის დარგში, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის, მეცნიერული პოტენციალის რაციონალური გამოყენების დარგში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილების შესაბამისად.

ჩვენი მთავარი საზრუნავი, როგორც ყოველთვის ადამიანისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ზრუნვაა. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მოწონებულია მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების ღონისძიებათა ფართო სისტემა, რომელიც შემუშავებულია ჩვენში და ხორციელდება.

რესპუბლიკის ეკონომიური პოტენციალის განმტკიცებამ, რომელიც მიღწეულია სამეურნეო მშენებლობის პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შედეგად, შეავსო მოხმარების წყაროება, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას. მოხმარებისა და დაკროვებისათვის გამოყენებული რესპუბლიკის ეროვნული შემოსავალი ხუთწლედში 30 პროცენტით ვაიზარდა. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი მრეწველობაში 1975 წელს 1970 წელთან შედარებით 18 პროცენტით, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება კი 28 პროცენტით გადიდდა. ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავალი 21,3 პროცენტით გაიზარდა.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს, რათა სათანადო წესრიგი დაემყარებინათ მომსახურების სფეროში, აღმოეფხვრათ სერიოზული ნაკლოვანებები ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, რასაც ყურადღება დაეთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. უკანასკნელი წლების მანძილზე შეიმჩნევა ადგილობრივი პარტიული კომიტეტების მნიშვნელოვანი შემობრუნება ამ პრობლემებისადმი, რაშაც თავისი ნაყოფი გამოიღო — დაჩარდა საქონელბრუნვისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ზრდის ტემპი, უფრო სრულად კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილებები ბევრ სასურსათო და არასასურსათო საქონელსა და მომსახურების სახეობებზე, გაუმჯობესდა ქალაქების მოსახლეობის ხილ-ბოსტნეულით მომარაგება.

ჩვენი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, სამინისტროები ახლა უფრო ღრმად და კონკრეტულად მუშაობენ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების საკითხებზე, რომლის მოცულობამ რესპუბლიკაში

განვამტკიცოთ წარმატებები, სრულვყოთ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, მივაღწიოთ საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის ახალ აღმავლობას!

(გაგრძელება)

ეტაპს კი კონკრეტულ-ანალიზური მიდგომა უნდა ახასიათებდეს. ჩვეულებრივ ისეთ მაჩვენებლებს, როგორიც არის გაცდენები, სამუშაო დროის დანაკარგები, მოწყობილობის მოცდენები და დისციპლინის სხვა დარღვევები, წლის დამლევს ვიჯამებთ ხოლმე, საქმე კი იმას ეხება, რომ გავლენა მოვახდინოთ ამ პროცესებზე მთელი წლის განმავლობაში, ვმართოთ ისინი, ხელთ გვქონდეს ციფრები, ისევე როგორც ვვაქვს ხოლმე ისინი, როცა მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის დარგში მუშაობის შედეგებს ვჯამებთ.

ამრიგად, ძალზე საჭიროა, რომ ყველაფერს, რაც დისციპლინის განმტკიცების დარაზი კეთდება, სტატისტიკური ანგარიშგების ფორმა მივანიჭოთ, რათა სისტემატური კონტროლი განვახორციელოთ.

შესაბამის ორგანოებს წინადადება უნდა მივცეთ გაეფართოონ ანგარიშგების არე დისციპლინის მდგომარეობის დარგში ყველა მისი ფორმითა და ყველა სახეობით, და ეს ანგარიშგება თვის გამოხატულებას უნდა პოვებდეს სრულიად კონკრეტული კატეგორიებით. ხოლო სხდომებზე სახალხო მეურნეობის მუშაობის შედეგების ყოველთვიური შეჯამების დროს ყოველთვის მოვისმენთ სპეციალურ ინფორმაციას რესპუბლიკაში დისციპლინის მდგომარეობის შესახებ ამ სიტყვის ყველაზე თვრთო გაგებით და შესაბამის გადაწყვეტილებასაც მივიღებთ.

ანალოგიური მუშაობა უნდა ვაწარმოოთ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში, სამინისტროებში, უწყებებში, სადაც აგრეთვე ყოველთვიურად უნდა შეჯამდეს დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობის შედეგები.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციები მთელ თავიანთ იდეოლოგიურ საქმიანობაში იმით ხელმძღვანელობენ, რომ პარტიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო და არის მშრომელთა. უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდა თაობის შეგნებაში **საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის** იდეების, საბჭოეთისათვის, ჩვენი სამშობლოსათვის სიამაყის ჩანერგვა.

ლენინ დიდი კმაყოფილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მშრომელთა, უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდის გაძლიერებაზე სასიკეთო გავლენას ახდენს ის დიდი მუშაობა, რომელიც ჩვენში ლენინური ორსული ენის — ყველა საბჭოთა ადამიანის ინტერნაციონალური კავშირურთიერთობისა და სულიერი ურთიერთგამდიდრების ენის სწავლებისა და დაფუძვლის სრულყოფისათვის წარმოებს. ეს მუშაობა უნდა განვაგრძოთ, იგი უფრო ინტენსიურად, უფრო მტკიცედ და მიზანდასახულად უნდა ვაწარმოოთ. დიე, რუსული ენა თვითეული ჩვენგანისათვის მეორე დედაენა გახდეს.

მშრომელთა პატრიოტული აღზრდისა და მასების ინტერნაციონალისტური შეგნების განმტკიცების საკითხებს ჩვენი პარტიული ორგანიზაციებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გამო, რომ სკკპ XXV ყრილობაზე დასახელებული იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ, რომელშიც ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული ორგანიზაციების ყურადღება მიაპყრო ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს: „დღეს ცხაოფილებით შეგვიძლია ადვნიშნოთ, — თქვა ლენინიდ ილიას-ძემ, — რომ აქედან სწორი დასკვნები გამოიტანეს“.

ყრილობაზე ითქვა, რომ პარტიული ორგანიზაციები უფრო ინიციატივიანად და ფართოდ წარმართავენ მუშაობას მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდისათვის. და ეს იმის მაღალ შეფასებად მიგვაჩნია, რაც თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ გავაკეთეთ. განსაკუთრებულ მნიშვნელობაზ ვანიჭებთ საანგარიშო მოხსენების იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ **ისპობა ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ცალკეული გამოვლინებები, ისტორიული მოვლენების შეფასებისადმი არაკლასობრივი მიდგომის ფაქტები, კუთხურობის გამოვლინებები, დრამოშმული პატრიარქალურობის განდიდების ცდები.**

მთელი ეს მუშაობა ღრმად გაიგეს და მზარი დაუჭირეს რესპუბლიკის მშრომელებმა, მან დადებითი გავლენა მოახდინა ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა **და** ძმობის შემდგომ განმტკიცებაზე.

აქვე უნდა ითქვას, რომ ყოველნაირად უნდა გავაუმჯობესოთ მოზარდი თაობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდა. უკანასკნელ ხანს ამ მიმართულებითაც ბევრი რამ გაკეთდა და აღინიშნა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ბევრი კოლექტივის კარგი მუშაობა. საინტერესო ღონისძიებები ხორციელდება განათლების სამინისტროს ხაზით რესპუბლიკის სკოლებში. ეს საქმე აქ სოლიდურ საფუძველზე დგას. ახალგაზრდობის საბჭდრო-პატრიოტული აღზრდის გაუმჯობესებაში დიდ და მეტად ქმედით დახმარებას უწევენ რესპუბლიკის პატრიოტულ ორგანიზაციებს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქისა და სასაზღვრო ოლქის ქვეგანაყოფები.

მაგრამ ამას ვერაფითარ შემთხვევაში ვერ დავჯერდებით. სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის მუშაობას უფრო მეტი გაქანება უნდა მივცეთ, ამისათვის გამოვიყენოთ ყველა არსებული შესაძლებლობა.

ახალი ადამიანის ჩამოყალიბების მთელი საქმის კომპლექსი შეიცავს მშრომელთა ზნეობრივ აღზრდას, რომლის ამოცანა ის არის, რომ ადამიანებს ჩაენერგოთ აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულების გრძნობა, როცა სიტყვისა და საქმის ერთიანობა ქცევის ყოველდღიური ნორმა ხდება.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ უფრო მტკიცედ მოჰკიდა ხელი ზნეობრივი აღზრდის ამოცანების გადაწყვეტას.

პარტია გვასწავლის, რომ საბჭოთა ადამიანის ახალი სახე, მისი კომუნისტური მორალი და მსოფლმხედველობა ბურჟუაზიული იდეოლოგიის, წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ მუდმივ, უკომპრომისო ბრძოლაში მკვიდრდება.

სკკპ XXV ყრილობაზე ითქვა, რომ რაც უფრო ვითარდება ჩვენი საზოგადოება, მით უფრო შეუწყნარებელია ზნეობის სოციალისტური ნორმებიდან გადახვევები, რომლებსაც ჯერ კიდევ ვხვდებით. ეი რატომ არის, რომ საქართველოს კომუნისტებმა კიდევ უფრო პრინციპული ბრძოლა გამოუცხადეს ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში წარსულის გადმონაშთებს, კომუნისტური მორალის ისეთ ანტიპოდებს, როგორიც არის მომხვეჭელობა, კერძომესაკუთრული ტენდენციები, ხულიგნობა, ბიუროკრატიზმი, უსულგულობა — ყოველივე იმას, რაც ეწინააღმდეგება ჩვენი წყობილების არსს.

ამ მომენტში ეს პრობლემები ყველაზე დიდმნიშვნელოვნად, ყველაზე საჭირბოროტოდ წარმოგვიდგენია. საქმე ის არის, რომ სწორედ კერძომესაკუთრული მორალი, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგია, რომელმაც მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს გონება დაუბნელა, რესპუბლიკის ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში ბევრ ნეგატიურ მოვლენას წარმოშობს.

ასევე არანაკლებ მნიშვნელოვნად წარმოგვიდგენია ბრძოლა ბიუროკრატიზმის ბევრი გამოვლინების წინააღმდეგ.

დასახულ ამოცანათა განხორციელებაში დიდი როლი ეკუთვნით ჩვენს პრესას, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს. და ისინი ძალიან სერიოზულად გვეხმარებიან ჩვენს ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში. ამასთან უნდა ითქვას, რომ ბოლო დროს ჩვენმა პრესამ რამდენადმე დაკარგა ის სიმწვავე და გაქანება, რომლებიც მას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლის საწყის პერიოდში ჰქონდა.

ჩანს, დადგა დრო ღრმად გავერკვეთ ჩვენი პარტიული გაზეთების მუშაობის პრაქტიკაში, საგამომცემლო საქმეში და განვახორციელოთ საჭირო ღონისძიებები, რათა ისინი ჭეშმარიტად მებრძოლი ორგანიზაციის ბაზაზე საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი ამოცანაა აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებები, ამას მოვახმაროთ მთელი ჩვენი ძალები, მივაპყროთ ამთელი ჩვენი ყურადღება. სკკპ ცენტრალური კომიტეტს შემოხვევით როდი მიაჩნია, რომ ჩვენში მხოლოდ დასაბამი მიეცა იმ დიდ მუშაობას, რომელიც მომავალშიც უნდა წარმოებდეს კომუნისტებისა და ყველა მშრომელის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, ამასთან ხაზი გაუსვა, რომ იდეოლოგიურ მუშაობაში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის გაზრდილი აქტივობა არა შესაძლებლობებს უქმნის იმ ამოცანების უფრო წარმატებით გადაწყვეტას, რომლებიც ამ დარგში სკკპ XXV ყრილობამ დასახა.

იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონის შემდგომი ამაღლების უზრუნველსაყოფად ჩვენს პარტიულ კომიტეტებს წინადადება ეძლევათ შეეხუშაონ იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის პერსპექტიული კომპლექსური გეგმები. მიაღწიონ მეათე ხუთწლეულის სოციალურ-ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტაში. ახალი ადამიანის აღზრდაში ყველა იდეოლოგიური დაწესებულების ღონისძიებათა. პროპაგანდისა და აგიტაციის მთელი ძალებისა და საშუალებების უფრო მოფიქრებულ კოორდინაციის.

ამ მხრივ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. დღეს პლენუმის განსახილველად გამოგვაქვს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების პრაქტიკული განხორციელებისათვის რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა. ეს გეგმა თვალსაწინოს ორგანიზაციული, პოლიტიკური და სამეურნეო ღონისძიებების მთელ სისტემას, რომლებიც მიზნად ისახავს რესპუბლიკის ეკონომიკის, სოციალური ცხოვრების შემდგომ ამაღლებას, სამეურნეო და კულტურული შენებლობის პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომ სრულყოფას.

მთელ ამ მუშაობაში დიდ იმედს ვამყარებთ ჩვენს საზოგადოებათმცოდნე მეცნიერებზე. და უნდა ითქვას, რომ ამ იმედებს ამხანაგები. უთუოდ, ამართლებენ. დღეს ჭარბობენ პარიტეტებიც ეფმთ ბოლო ანგარიშით და ღრმა ანალიზებს ეფ ბოლოდ ეფ ბოლოდ ეფ ბოლოდ

განვამტკიცოთ წარმატებები, სრულვყოთ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, მივაღწიოთ საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის ახალ აღმავლობას!

(დასასრული).

ბევრი რაიონული, საქალაქო კომიტეტი, ზოგჯერ ამ პირველადი ორგანიზაციების პარტკომები ცუდად, ცალმხრივად არიან ინფორმირებული ადგილებზე საქმის მდგომარეობის შესახებ, მთლად შეწყობილად ვერ მუშაობენ ერთმანეთთან პარტორგანიზაციები. საკმარისად ზუსტად არ მოქმედებს შიდაპარტიული ურთიერთობის სისტემა, ცუდადაა მოგვარებული უკუკავშირი.

ჩვენ აქ შემთხვევით როდი ვლაპარაკობთ უკუკავშირზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ საჭირო თვითეულ კომუნისტს აქვნდეს პოლიტიკური მებრძოლის თვისებები, ხოლო საუკეთესო მებრძოლურ თვისებებს კომუნისტებს, როგორც ცნობილია, უნერგავენ არა მარტო ზეპოდან ინფორმირებით და ხელქვეითთა კრიტიკით, არამედ ყველგან ისეთი ატმოსფეროს შექმნითაც, რომელშიც თვითეულს შეუძლია თავისი ადამიანური ბუნებიდან ბერეკილ ბრძოლებში, ზემდგომი ინსტანციების ზემდგომი ინფორმაციის, ზემდგომი ინსტანციების საქმიანობის შესახებ. ამიტომ პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ვალდებული არიან პარტიულ კრებებზე, პრესაში, პარტიული ორგანიზაციისთვის გაგზავნილ წერილებში მიტა ყურადღებით შეისწავლონ კომუნისტთა მიერ გამოთქმული აზრი, დროულად გამოიხმაურონ ამას. თვითეული ღრმად უნდა იყოს დარწმუნებული, რომ უყურადღებოდ ან დატოვებენ არცერთ აზრს, შესაბამისად შეისწავლიან მას, საჭირო რეაგირებას მოახდენენ.

ეს არ ნიშნავს, რომ წაიკეზოთ ყოველგვარი აზრი, შეკასრულოთ ყოველგვარი კრიტიკული შენიშვნა, ავყვეთ ჭირვეულობას.

სამწუხაროდ, პარტიის წევრებს შორისაც არიან ეგრეთ წოდებული „ხალასი სიმართლის“ მაძიებლები, რომლებიც სინამდვილეში ცილისმწამებლები ალმოჩნდებიან ხოლმე. დასახელო ასეთ ბინძური მიზნები. ისინი ატალახებენ ბევრი ზემდგომი ორგანოს კარს, წერენ საჩივრებს, აცდენენ მუშაკებს.

პარტიის საჩხერის რაიონის ყოფილმა მეორე მდივანმა უ. ჩიკვილაძემ, რომელიც თანამდებობიდან გადაყვანილ იქნა ეროვნული მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებისა და დარღვევებისათვის, ხელმძღვანელი მუშაკისათვის შეუფერებელი მოქმედებისათვის, ვერ გამოიტანა სათანადო დასკვნები, აკადრა განაგრძოს ინტრიგების, წერს წერილებს, რომლებიც რაიონის ხელმძღვანელი მუშაკებისადმი ყალბ ბრალდებებს შეიცავენ, საგულისხმოა რომ ამ ბრალდებებიდან ბევრს წინათ, როცა რაიკომის მდივანი იყო, თვითონ სწავლობდა ჩიკვილაძე და აცხადებდა, რომ უსაფუძვლო და ცილისმწამებლურიაო.

როგორ უნდა ვებრძოლოთ ასეთ ორპირ ადამიანებს? ცხადია, სწორი იქნებოდა, პარტიის წევრებს ასეთი საკითხი განხილულიყოთ პირველად პარტიულ ორგანიზაციებში, იმ კოლექტივებში, სადაც მათ ყველაზე უკეთ იცნობენ, სადაც კომუნისტებს შეძლებთ სამართლიანად, ობიექტურად შეაფასონ ასეთი ადამიანის მოქმედება, სადაც არის იმის საუკეთესო შესაძლებლობები, რომ გაძლიერდეს თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობა კოლექტივის წინაშე და კოლექტივისა პარტიის თვითეული წევრის წინაშე.

პირველადი პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა უნდა გაითვალისწინონ იმ პირობების მრავალფეროვნება, რომლებშიც პირველადი პარტორგანიზაციები მოქმედებენ, მათ წინაშე დასახული ამოცანების სპეციფიკა.

ავიღოთ, მაგალითად, საწარმოო გაერთიანებების პარტიული ორგანიზაციები. ქვეყნის მასშტაბით შექმნილია მათი საქმიანობის დიდი გამოცდილება, ბევრი საინტერესო რამ არის ჩვენს რესპუბლიკაშიც.

მარტო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ მაგალითად, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი რესპუბლიკაში შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მას მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს როგორც საწარმოო, ისე ორგანიზაციულ-პოლიტიკურ მუშაობაში.

ნაგრამ, გაერთიანებაში შეძენილი მუშაობის გამოცდილება არ არის რესპუბლიკის გაერთიანებებს ყველა პარტორგანიზაციის კუთვნილება. ეს უნდა მესაკეკდეროთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებსაც, რომლებსაც ჯერ საკმაოდ საფუძვლიანად არ მოუკიდიათ ხელი გაერთიანებათა პარტორგანიზაციების მუშაობისათვის, თუმცა რესპუბლიკაში უკვე შექმნილია მრეწველობის 86 და სოფლის მეურნეობის 100-ზე მეტი გაერთიანება. ჩვენი აზრით, სასარგებლო იქნება, რომ პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, სადაც ბევრი გაერთიანებაა შექმნილი, ცენტრალურმა კომიტეტმა და მისმა შესაბამისმა განყოფილებებმა შეკრიბონ ალერთიანებების პარტორგანიზაციათა მდივნები გამოცდილების გაზიარების, მათი საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავების მიზნით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ პარტიული კომიტეტები უნდა ზრუნავდნენ პარტიის რიგების შეკავშირებისა და სიწმინდისათვის. ეს ეკვივალენტია ბევრი ასეთი ფესვდების ბოლოდ ასეთ ეკვივალენტია ბევრ ასეთ

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1976 წლის 25 ივლისი № 155 ქ. მოსკოვი.

ამხანაგო მატროსებო და ჯარისკაცებო, ზემდებარენო და სერჟანტებო!

ამხანაგო მიჩმანენო და პრაპორშჩიკებო!

ამხანაგო ოფიცრებო, ადმირალებო და გენერლებო!

ამხანაგო გემთმშენებლებო და გემთშემკეთებლებო!

სამხედრო-საზღვაო ფლოტის ვეტერანებო!

სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საზღვაო სკოლების კურსანტებო, ნორჩო მეზღვაურებო!

დღეს ჩვენი ქვეყანა და მისი შეიარაღებული ძალები სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს ზეიმობენ. წლეულს ეს ტრადიციული დღესასწაული საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის უდიდესი აღმავლობის ვითარებაში აღინიშნება, რაც სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შედეგია. საბჭოთა კავშირის მშრომელები წარმატებით ახორციელებენ მეათე ხუთწლედის პირველი წლის დავალებებს, ყოველი ღონისძიებით განამტკიცებენ ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიურ და თავდაცვის ძლიერებას.

საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის საგუშაგოზე მთელ შეიარაღებულ ძალებთან ერთად ფხიზლად დგას სახელოვანი სამხედრო-საზღვაო ფლოტი. სამხედრო მეზღვაურებმა ბევრი ნათელი ფურცელი ჩაწერეს სოციალისტური სამშობლოს გმირულ მატიანეში. სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში მათ ცხადყვეს სამშობლოს უსაზღვრო ერთგულება და თავიანთი მხედრული მოვალეობის მამაცურად შესრულებით, დიდი საბრძოლო ოსტატობით, ვაჟკაცობითა და გმირობით საყოველთაო-სახალხო სიყვარული და მადლიერება მოიპოვეს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელი ზრუნვის, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მეცნიერთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა თავდადებული შრომის შედეგად სსრ კავშირს მძლავრი სამხედრო საზღვაო ფლოტი ჰყავს, რომელსაც ყოველგვარი საფრთხის მოგერიება შეუძლია, რაც კი ზღვებიდან თუ ოკეანეებიდან დაემუქრება, ჩვენს ფლოტს უახლესი საბრძოლო ხომალდები, თანამედროვე ტექნიკა, ყველა სახეობის შეიარაღება აქვს, კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული მაღალკვალიფიციური სამხედრო კადრები ჰყავს.

ლენინის პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული სამხედრო მეზღვაურები თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მოპოვებული საუკეთესო მაჩვენებლებით ეგებებიან. შორეულ ლაშქრობებსა და ოკეანეებში ცურვის დროს ისინი ბეჯითად სრულყოფენ საბრძოლო და საზღვაო მომზადებას, ფხიზლად მსახურობენ, სანინმშოდ ასრულებენ თავიანთ პატრიოტულ და ინტერნაციონალურ მოვალეობას.

მოგესალმებით და გილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს!

სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირად შემადგენლობას შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ სკკპ XXV ყრილობის მიერ საბჭოთა შეიარაღებული ძალების წინაშე დასახულ ამოცანათა შესრულებაში, ხომალდებისა და ნაწილების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებაში.

გემთსაშენებელი მრეწველობის მუშაკებს ახალ მიღწევებს ვუსურვებ სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის თანამედროვე საბრძოლო ხომალდების შექმნაში.

სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საზღვაო სკოლების კურსანტებს, ნორჩ მეზღვაურებს წარმატებებს ვუსურვებ მეზღვაურთა სპეციალობების დაუფლებასა და სამხედრო სამსახურისათვის მზადებაში.

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 25 ივლისს, ადგილობრივი დროით 21 საათზე მოეწყოს საღამოსასწაულო ფიეიერვერკი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში — ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში, ნოვოროსიისკში, ქერჩში, გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში, ფლოტებსა და ფლოტილებზე.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს და მის გმირულ სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი დ. უსტინოვი.

24 ივლისი

„პრავდის“ ფურცლებზე

გაზეთი პირველ-მეორე გვერდებზე აქვეყნებს სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობას **სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების 1976 წლის პირველი ნახევრის შედეგების შესახებ („ხუთწლედის წარმატებული სტარტი“).**

როგორც გაზეთი იუწყება, საქართველოში ამჟამად დიდი მუშაობაა გაჩაღებული სახალხო მეურნეობაში ბუნებრივი ცეოლიტების დასანერგავად. „პრავდის“ კორესპონდენტმა **გ. ლებანიძემ** მიმართა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორს **გ. ციცაშვილს** და სთხოვა გაეცნო ამ ნედლეულის სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა **(„მდუღარე ქვის“ პროფესიები“).** ეს ინტერვიუ მესამე გვერდზე გამოქვეყნებულია რუბრიკით — **„მკვლევარის გვერდით“.**

„ახალი „წმინდა კაშირი“? — ასე ჰქვია „პრავდის“ პოლიტიკური მიმოხილველის **გ. რატიანის** წერილს, რომელსაც მეოთხე გვერდზე წაიკითხავთ.

აქვე ნახავთ ჩეხოსლოვაკიელი პუბლიცისტის **ვ. იანკუს** სტატიას — **„გზა მტკიცე მშვიდობისაკენ“.**

გაზეთის მეხუთე გვერდი ტრადიციისამებრ დათმობილია აქვს „პრავდისა“ და საკავშირო კორესპონდენტთა მიერ გადმოცემულ საერთაშორისო ინფორმაციას.

სპორტის მოყვარულნი მონრეალის ოლიმპიადის ამბებს მეექვსე გვერდზე გაეცნობიან.

PRAVDA

ვაჭრობის მუშაკთა დღის აღსანიშნავად

თბილისის ჭადრაკის სასახლის შენობაში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც ვაჭრობის მუშაკის დღეს მიეძღვნა. იგი გახსნა სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ კ. გურულმა.

კრებაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი მ. მეგრელიშვილი, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე კ. შავიშვილი, „თბილმეურნვაჭრობის“ № 1 მაღაზიის უფროსი გამყიდველი მ. ბურძგლიძე, ახალგაზრდა მზარეულისა და კონდიტერების რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებული, რესტორან „მთაწმინდის“ მზარეული თ. ჩიღვინაძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშა, სოციალისტური შრომის გმირი ა. ძამაშვილი, პოეტი ჯ. ჩარკვიანი და სხვ.

კრებაზე მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ყველა მუშაკისადმი.

კრებას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. კიკნაძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობის, საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილების გამგე შ. ბერიანიძე.

(საქინფორმი).

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსად ამხ. რ. ვ. ბასარიას დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. რევაზ ვლადიმრის-ძე **ბასარია** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. ვინლაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1976 წლის 24 ივლისი.

ე. გერეკი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 24 ივლისს საბჭოთა კავშირში დასასვენებლად ჩამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. გერეკი.

მოკმე კუბის დღესასწაული

23 ივლისს მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს კუბის რესპუბლიკის რევოლუციური დღესასწაული, ეროვნული აჯანყების დღე.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი თ. დ. კულაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ხოლოვი, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, მხედართმთავრები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მათთან ერთად იყვნენ საბჭოთა კავშირში კუბის რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული ხულიო პუერტა კეროგი, კუბა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ასოციაციის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე, კუბის კავშირგაბმულობის მინისტრის პირველი მოადგილე პედრო ლეის ტორესი, სხვა კუბელი ამხანაგები.

კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ლ. ი. ბორისოვმა. მოხსენება გააკეთა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტმა ვ. ი. ვორონტნიკოვმა.

კრებაზე გამოსულმა კუბის დელეგაციის ხელმძღვანელმა პედრო ლეის ტორესმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირთან მეგობრობას, საბჭოთა ადამიანების სოლიდარობასა და მხარდაჭერას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კუბისათვის. სამუდამოდ გვეხსომება უანგარო დახმარება, რომელსაც გვიწევდა და კვლავაც გვიწევს საბჭოთა ხალხი.

(საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

22 ივლისს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე განიხილეს, თუ როგორ სრულდება კომისიების დადგენილება „ქალის ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“.

გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქალის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეა. ეს ყველაზე სრულად აისახა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში. აღინიშნა, რომ კომისიების რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს ქალის ჯანმრთელობის დაცვის, შრომისა და დასვენების შემდგომ გაუმჯობესებას, მათ სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურებას, ბავშვთა აღზრდაში დახმარების გაფართოებას, აისახა 1976-1980 წლების კომპლექსურ გეგმებში, რომლებიც სამინისტროებმა და უწყებებმა მიიღეს დარგობრივი პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტებთან და პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოებთან ერთად.

ამასთან გამოსვლებში გააკრიტიკეს ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების ხელმძღვანელები, რომლებიც ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ქალის ჯანმრთელობის დაცვას.

განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება. (საკდესი).

საკდესის ცნობა „მოლნია-1“

1976 წლის 23 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს მორიგი კავშირგაბმულობის თანამგზავრი „მოლნია-1“. კავშირგაბმულობის თანამგზავრი „მოლნია-1“ უზრუნველყოფს შორი სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირის სისტემის ექსპლოატაციას, აგრეთვე სსრ კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პროგრამების გადაცემას „ორბიტის“ ქსელის პუნქტებზე, რომლებიც მდებარეობს უკიდურესი ჩრდილოეთის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და შუა აზიის რაიონებში.

თანამგზავრი გაყვანილია მაღალ ელიფსურ ორბიტაზე, რომლის აპოგეა ჩრდილოეთ ნახევარსფეროში უდრის 39.059 კილომეტრს და პერიგეა სამხრეთ ნახევარსფეროში — 499 კილომეტრს. თანამგზავრის მიმოქცევის პერიოდია 11 საათი და 41 წუთი, ორბიტის დახრილობა — 62,9 გრადუსი.

თანამგზავრზე ტელევიზიის პროგრამების გადაცემისა და შორი მრავალარხიანი რადიოკავშირის განხორციელების აპარატურის გარდა, დედამიწელია საკომანდო საზომი კომპლექსის აპარატურა, აგრეთვე თანამგზავრის ორიენტაციის, ორბიტის კორექციისა და ენერგოკვების სისტემები.

მიღებული მონაცემებით, თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს, კავშირგაბმულობის სეანსები „მოლნია-1“ თანამგზავრის საშუალებით მოეწყობა დასახული პროგრამის შესაბამისად.

პორტუგალიის მთავრობა

ლისაბონი. (საკდესი). აქ გამოაცხადეს **პორტუგალიის რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა, რომელიც პრემიერ-მინისტრმა მარიო სოარეშმა შეადგინა.** მთავრობაში შევიდნენ სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები, დამოუკიდებლები და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები. საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა ეოზე დი მელეირუშ ფერეირა (ყოფილი საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი დი აზევედუს მეთაურობაში), თავდაცვის მინისტრად — პოდპოლკოვნიკი ფირმინუ მიგელი, შრომის მინისტრად — მარსელუ კეტუ, შინაგანი ადმინისტრაციის მინისტრად — პოდპოლკოვნიკი მანუელ და კოშტა ბრაშე.

პრეზიდენტის სასახლეში რესპუბლიკის პრეზიდენტის რამალიუ ეანეშის თანდასწრებით ახალმა მთავრობამ ფიცი დადო.

მომავალ კვირაში ახალი მთავრობის პროგრამას განსახილველად წარუდგენენ რესპუბლიკის კრებას.

კონსულტაციების მეორე ტური

რომი. (საკდესი). **ქრისტიანმა დემოკრატმა ჯ. ანდრეოტიმ იტალიის პოლიტიკურ პარტიებთან კონსულტაციების მეორე ტური ჩაატარა ახალი მთავრობის შედგენის შესაძლებლობის საკითხზე.** მან ამ პარტიების განსაჯილველად წარადგინა მომავალი კაბინეტის პროგრამა.

კონსულტაციებს **არ** შეუტანია ცვლილება იტალიის პოლიტიკური პარტიების პოზიციაში, რომლებმაც უფლება დაიტოვეს შეისწავლონ წარმოდგენილი პროგრამა და განსაზღვრონ თავიანთი დამოკიდებულება ამ პროგრამისადმი. უცვლელი დარჩა, კერძოდ, სოციალისტების, სოციალ-დემოკრატებისა და რესპუბლიკელების პოზიციები, რომელთა ლიდერებმა კონსულტაციების მსვლელობაში დაადასტურეს, რომ უარს ამბობენ ქრისტიან-დემოკრატებთან მთავრობის კოალიციაში უშუალო მონაწილეობაზე.

იტალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ე. ბერლინგუერმა ჯ. ანდრეოტისთან იტალიის კომპარტიის დელეგაციის შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ კომპარტია აუცილებლად შეისწავლის მომავალი მთავრობის პროგრამას და შემდეგ განსაზღვრავს თავის პოზიციას.

ვითარება ლიბანში

ბეირუთი, (საკდესი). არაბთა წინააღმდეგ არაბების ძმათამკვლელი ომი ლიბანში, **რომელსაც ყოველნაირად აღვივებენ მემარჯვენე ძალები, შეესაბამება იმპერიალისტური წრეებისა და ტელ-ავივის სიონისტური ზედა ფენის გეგმებს, რომლებიც დაინტერესებული არიან შეასუსტონ არაბული ხალხმწყობების ფრონტი, წინააღმდეგობას რომ უწევენ ისრაელის აგრესიას, მოსპონ პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა.**

ოღონდ ჩამალონ სისხლისღვრის შეწყვეტის ყოველგვარი ღონისძიება, მემარჯვენე ქრისტიანული ძალების შეიარაღებული რაზმები არ ერიდებიან პროვოკაციებს არაბული ქვეყნების უშიშროების ძალების მიმართაც კი, რომლებიც ლიბანში ვითარების ნორმალიზაციისათვის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა. მემარჯვენეთა სამხედრო შენაერთებმა გუშინ სროლა აუტეხეს არაბული ქვეყნების ძალების ქვეგანაყოფებს და ცხრა ჯარისკაცი დაჭრეს. ეს ქვეგანაყოფები გაიგზავნა ლიბანის დედაქალაქის „ნეიტრალურ ზონაში“ მოწინააღმდეგე მხარეების დაშორებისა და შორებლის მიზნით.

ლიბანის მემარჯვენე ქრისტიანულმა ძალებმა ჩამალეს აგრეთვე საერთაშორისო წითელი ჯვრის სანიტარული რაზმის მორიგი ცდა გამოეყვანა დაახლოებით 1000 დაჭრილი პალესტინელი ტელ-ზაათარის ბანაკიდან, რომელიც უკვე მეორე თვეა გმირულად იცავს თავს. მემარჯვენეებმა კვლავ დაუშინეს ამ სანიტარულ რაზმს არტილერიისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლი, როცა იგი შეეცადა მიახლოვებოდა ბანაკს.

ამასობაში, როგორც ლიბანის პრესა იუწყება, ბეირუთში და ქვეყნის სხვა რაიონებში გრძელდება ძლიერი ბრძოლები, ერთი მხრივ, ეროვნულ-პატრიოტული ძალების გაერთიანებულ რაზმებსა და პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობას და, მეორე მხრივ, მემარჯვენეთა შეიარაღებულ შენაერთებს შორის. 21 ივლისის მონაცემებით, ამ დღეს საბრძოლო მოქმედების დროს დაიღუპა 125 კაცი.

დამასკოდან მიღებული ცნობებით, იქ მოლაპარაკება მიმდინარობს პალესტინის დელეგაციასა და სირიის ოფიციალურ პირებს შორის. პალესტინის დელეგაციას მეთაურობს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ფ. ალ-კადუმი. სირიის პრემიერ-მინისტრად მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ჰადამმა აღნიშნა, მოლაპარაკება „გულახდილობის სულისკვეთებით“ მიმდინარეობს, და იმედია „შეთანხმების“ შესაძლებლობას მოგვცემს. ანალოგიური განცხადება გააკეთა პალესტინის დელეგაციის წარმომადგენელმა.

მსოფლიო



დღეს

მონრეალის XXI ოლიმპიადაზე

საბჭოთა სპორტის ოქროს დღე



● ნიკოლოზ ანდრიანოვის ზვიდი მედალი ● მსროლელ, ალექსანდრე გაზოვის გამარჯვება ● კალათბურთელ ქალთა „ოქრო“

5 ოქროს, 4 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა შეჯიბრების მეექვსე დღეს.

ტანვარჯიში. მონრეალის უდიდესი სპორტული დარბაზი „ფორუმი“ ნამდვილად ტრიუმფალური გამოდგა საბჭოთა სპორტსმენთათვის. ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობის ბოლო დღეს ჩვენმა გუნდმა კიდევ ერთი ზვიდი მედალი მოიპოვა. ეს საღამო თავისებურ ბენეფისად იქცა ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონისათვის, **სპორტის დამსახურებული ოსტატის ნიკოლოზ ანდრიანოვისათვის, რომელმაც კიდევ სამი ოქროს (თავისუფალი ვარჯიში — 19,450 ქულა, რგოლები—19,650 და ხტომები — 19,450), ერთი ვერცხლისა (ორძელი) და ერთი ბრინჯაოს (ტაიჭი) მედალი მოიპოვა. ამრიგად, სულ 5. ანდრიანოვს ოლიმპიადიდან 7 მედალი მოაქვს, მათ შორის 4 ოქროსი.** ეს მონრეალის ასპარეზობის ყველაზე დიდი აკრედიტაცია. კარგად გამოვიდნენ აგრეთვე გროზნელი ვლადიმერ მარჩენკო (მეორე ადგილი თავისუფალ ვარჯიშში) და ლენინგრადელი ალექსანდრე დიტიატინი (იგი მეორე იყო რგოლებზე). დანარჩენ სახეობებში ჩემპიონები გახდნენ იაპონელები სავაო კატო (ორძელი — 19,675) და მიცუო ცუკახარა (ღერძი — 19,675), უნგრელი ზოლტან მადიარი (ტაიჭი — 19,700).



ტყვიის სროლა. ოქროსა და ვერცხლის მედლები მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა ტყვიის სროლაში. **ვარჯიშში „გაქცეული ტახი“ მსოფლიოს ახალი რეკორდით პირველი იყო სსრ კავშირის ჩემპიონი, მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი, 30 წლის მინსკელი ალექსანდრე გაზოვი — 579 ქულა.** მეორე ადგილზეა მისი თანამოქალაქე, არმიელი ალექსანდრე კედიროვი — 576. მესამე შედეგი აქვს პოლონელ ეჟი გრეშკევიჩს — 571.

ეგრეთწოდებული ჩქაროსნული სროლა პისტოლეტიდან მოიგო ნორბერტ კლარმა (გდრ) — 597, რაც ოლიმპიადის ახალი რეკორდია. საბჭოთა სპორტსმენი ბოგანასი კუზმინი მეოთხე ადგილზეა — 595.

კალათბურთი. „ეტიენ დემარტოს“ ცენტრში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა კალათბურთელთა ტურნირი, მაგრამ **საბჭოთა ქალებმა** (უფროსი მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ლადია ალექსეევა) დიდი ანგარიშით 112:77 დაამარცხეს აშშ-ის ნაკრები და **ვადაძდე მოიპოვეს ოლიმპიადების პირველი ჩემპიონობა წოდება.** მათ დარჩათ ერთი შეხვედრა იაპონელებთან. საბჭოთა ვაჟთა გუნდმა დამაჯერებლად მოუგო იაპონიის ნაკრებს — 121:63.

მძლეოსნობა. მონრეალში სტარტი აიღო „სპორტის დედოფლად“ წოდებულმა მძლეოსანთა ასპარეზობამაც. ამ სახეობაში გათამაშდება ყველაზე მეტი მედალი — 37 კომპლექტი, რაც 111 ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ჯილდოა.

რეკორდებით დაიწყეს თავისი გამოსვლები მონრეალის მთავარ ოლიმპიურ სტადიონზე მძლეოსნებმა. თუმცა მხოლოდ საკვალიფიკაციო შეჯიბრებები მიმდინარეობდა, მისი 72-ათასიანი ტრიბუნები თითქმის სავსე იყო. ბირთვის კვრაში ევროპისა და სსრ კავშირის რეკორდმფლობელი, ლენინგრადელმა დინამოელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ალექსანდრე ბარინნიკოვმა 21 მეტრი და 32 სანტიმეტრი აჩვენა და ახალი ოლიმპიური რეკორდი დაამყარა. ახალი ოლიმპიური მიღწევა არის აგრეთვე მარიონ ბეკერის (გფრ) შედეგი შუბის ტყორცნაში — 65,14.

უკვე გამოვლინდა პირველი ჩემპიონიც. ეს არის ანგელა ფოიგტი (გდრ), რომელმაც სიგრძეზე ხტომაში 6 მეტრი და 72 სანტიმეტრი აჩვენა. მეორე იყო კეტი მაკმილანი (აშშ) — 6,66, მესამე — სსრ კავშირის რეკორდსმენი, 30 წლის მოსკოველი ლიდია ალფეევა — 6,60. ოქროს მედალი სპორტულ სიარულში 20 კილომეტრზე მოიპოვა მექსიკელმა დანიელ ბაუტისტამ — 1 საათი, 24 წუთი და 40,6 წამი. საბჭოთა სპორტის ვეტერანი, 40 წლის ვლადიმერ გოლუბნიჩი, რომელიც თვისაც მონრეალის ოლიმპიადა რიგით მეხუთეა, მეშვიდე ადგილზე გამოვიდა — 1:29.24,6.

ნახევარფინალში გავიდნენ საბჭოთა სპორტსმენები — სპრინტერები ვალერი ბორზოვი და ალექსანდრე აკსინინი, თარჯმორებელები ანატოლი ბოლბატი, ლენინგრადელი დინამოელმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ალექსანდრე ბარინნიკოვმა 21 მეტრი და 32 სანტიმეტრი აჩვენა და ახალი ოლიმპიური რეკორდი დაამყარა. ახალი ოლიმპიური მიღწევა არის აგრეთვე მარიონ ბეკერის (გფრ) შედეგი შუბის ტყორცნაში — 65,14.

უკვე გამოვლინდა პირველი ჩემპიონიც. ეს არის ანგელა ფოიგტი (გდრ), რომელმაც სიგრძეზე ხტომაში 6 მეტრი და 72 სანტიმეტრი აჩვენა. მეორე იყო კეტი მაკმილანი (აშშ) — 6,66, მესამე — სსრ კავშირის რეკორდსმენი, 30 წლის მოსკოველი ლიდია ალფეევა — 6,60. ოქროს მედალი სპორტულ სიარულში 20 კილომეტრზე მოიპოვა. მექსიკელმა დანიელ ბაუტისტამ — 1 საათი, 24 წუთი და 40,6 წამი. საბჭოთა სპორტის ვეტერანი, 40 წლის ვლადიმერ გოლუბნიჩი, რომელ-

ოლიმპიადის გმირები

სურათებზე: ოლიმპიური მონრეალი. ზვიდი მედალი მოიპოვა მსოფლიოს სპორტის ამ უდიდეს ფორუმზე საბჭოთა ტანმოვარჯიშემ ნიკოლოზ ანდრიანოვმა, რომელსაც თქვენ სამატიო კვარცხლბეკზე ხედავთ (ზემოთ); ოლიმპიადების პირველი ჩემპიონები გახდნენ საბჭოთა კალათბურთელი ქალები. მორიგი შეტევა ამერიკელთა ფარზე, № 10 — სსრ კავშირის ნაკრების ცენტრი, 2 მეტრი და 10 სანტიმეტრი სიმაღლის რიგელი სპორტსმენი ულიანა სემონოვა, № 8 — ტატიანა ოვეჩკინა (მარჯვნივ); ახალი ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი ალექსანდრე გაზოვი „გაქცეულ ტახზე“, სროლისას (ქვემოთ).

საკდესი-საქინფორმის ფოტო.

ჭადრაკი

დაუმარცხებელი ლიდერები

ბილის საზონთაშორისო ტურნირზე ლიდერთა მდგომარეობა ასეთია: ლარსენი (დანია) — 6,5 ქულა 9 შეხვედრიდან, სმისლოვი — 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია, პეტროსიანი, პორტიში (უნგრეთი), ბირნი (აშშ) და პიუბნერი (გფრ) — 5,5 თვითეულს. ტალს 5 ქულა აქვს, გულდოს — 4(1), გელერს — 3,5(1).

პირველი დამარცხებები განიცადეს პეტროსიანმა და ბირნმა: პირველმა წააგო კოლუმბიელ კასტროსთან, მეორემ — უნგრელ ჩომთან. სმეიკალმა (ჩეხოსლოვაკია) წააგო პორტიშთან, დიასმა (კუბა) — გულკოსთან, როგოფმა (აშშ) — სანგანენტისთან. ყაბით დამთავრდა გულკო-პიუბნერის, ტალ-სმეიკალის, ლარსენ-ანდერსონის (შვეიცარია) პარტიები.

ამრიგად, დაუმარცხებელი დარჩა მხოლოდ ორი მონაწილე — სმისლოვი და ლარსენი.

„ოლიმპიელები ჩვენს შორის არიან“

ასეთი დევიზით მიმდინარეობდა ლვოვში 20 დღის განმავლობაში მოსწავლეთა მე-14 საკავშირო სპარტაკიადა.

კარგად გამოვიდნენ საქართველოს სპორტსმენები. მათ არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მეხუთე-მეექვსე ადგილები გიიყვეს უაზახეთის კოლექტივთან ერთად. აღსანიშნავია, რომ წინა, 1974 წლის სპარტაკიადაზე ალმა-ათაში ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები მეშვიდე ადგილზე გამოვიდნენ. საქართველოს ნორჩმა წარმომადგენლებმა 3 ოქროს, 12 ვერცხლისა და 13 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

განსაკუთრებით კარგად იასპარეზეს ჩვენმა ძიუდოისტებმა, თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა (ორივე გუნდი მეორე ადგილზე გამოვიდა), წყალში მხტომელებმა, აკრობატებმა, მოფარიკაველებმა და ტყვიის მსროლელებმა.

მოსწავლეთა მე-14 საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ მოფარიკაველ ნ. ჯიღაური, ძიუდოისტი თ. ნუგზარიშვილი და მოკრივე გ. სარქისიანი.

მომდევნო სპარტაკიადა გაიმართება 1978 წელს ტამპერეში.

ბოგბურთი

დევისის თასზე

ბავალ დონეცკში დაიწყება სსრ კავშირისა და ესპანეთის ნაკრებთა ნახევარფინალური მატჩი დევისის თასზე (ევროპის ზონა „ა“). ნახევარფინალში გასვლისათვის ჩვენმა ჩოგბურთელებმა დამარცხეს მონაკოსა — 5:0 და გფრ-ის გუნდები — 4:1. ესპანეთის ნაკრები, როგორც ზონის ზარშანდელი ფინალისტი, ნახევარფინალში შესარჩევი მატჩების გარეშე მოხვდა.

1967 წელს მეტოქეები უკვე შეხვდნენ ერთმანეთს დევისის თასზე. მაშინ გაიმარჯვეს მასპინძლებმა — ესპანელებმა — 4:1.

საბჭოთა ნაკრების ღირსებას დაიცავენ ა. მეტრეველი, თ. კაკულია, კ. პუგაევი და გ. ბორისოვი.

ესპანელთა მწვრთნელმა ჰიმენომ ჩამოსულისას აღნიშნა, რომ ა. მეტრეველი გამოჩენილი ჩოგბურთელია, რომელიც განსაკუთრებით კარგად თამაშობს გუნდურ ასპარეზობაში — მთელი ძალით იბრძვის ყოველი ბურთისათვის, ყოველი ქულისათვის.

ტელევიზია

25 ივლისი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „მაღვიძარა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „კინოს სამყაროში“, 12.00 — XXI საზაფხულო ოლიმპიურ ასპარეზობაზე. ფერადი გამოსახულებით, 14.00 — კინომოყვარულთათვის, 15.00 — „დღეს სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.15 — „შუსიკალური კიოსკი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.45— „მომზმარეული“ — სატელევიზიო ჟურნალი, 16.35 — კინოაფიშა, 17.00 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 17.45 — საერთაშორისო პანორამა. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.20 — საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებში გამარჯვებულნი — კოორელ მეცეტრუსეებთან, 18.40 — „ია“ — ლიტერატურული კომპოზიცია ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა მიხედვით. ფერადი გამოსახულებით, 19.00 — „ოთამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.15 — XXI საზაფხულო